სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 9 მაისი 2001 №83 (1356) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

23 მაისი სან სიროს

ვალენსია vs ?

REUTERS ვალენსიიდან

გაისკა მენდიეტა ისევ ფინალშია

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. მეორე მატჩი

ვალენსია 3:0 ლიდს იუნაიტედი (0:0)

ბავშვებო, გეყოთ თამაში!

ვალენსიამ ხოტორა ლიდსი გაპარსა

ხუან სანჩესმა ჯერ კიდევ მატჩამდე გატეხა „ლიდსი". სწორედ მისი ჩაწიხვლა არ ეპატია პირველ, ელანდროუდულ შეხვედრაში ლი ბოიერს, რომელსაც უეფას ჩინოსნებმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და „მესტალიაზე" თამაშის ნებაც არ დართეს.

მატჩი იყო და, სანჩესმა მე-16 წუთზე პირველად გაანბილა ნაიჯელ მარტინი, თუმცა თავით, მხრით თუ ხელით, ჯერ გამოცანად რჩება.

მეორე ტაიმის დასაწყისში კი გოლზე დაგეშილი ხოტორა ბრიტანელი ყმაწვილკაცების გაშმაგება სანჩესმა ოცდახუთიოდე მეტრიდან ლონიერი და უზუსტესი დარტყმით ჩააცხრო. ხუთიოდ წუთში კი გაისკა მენდიეტას არანაკლებ ლონიერმა და ზუსტმა დარტყმამ ნირწამხდარ „ლიდსს" ბოლო მოუღო.

3:0 და ესპანურმა „ვალენსიამ" ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაიგულა თავი.

რა მოხდება, დღეს მადრიდის „რეალმა" მიუნხენიდან „სან სიროსკენ" რომ გაიკვალოს გზა?

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ესპანური ფინალი „ვალენსია" — „რეალი" გამეორდება, თუმცა 23 მაისს „ვალენსიას" მეტოქეობის უკეთესი შანსი ოტმარ ჰიცფელდის „ბაიერნს" აქვს.

ექტორ რაულ კუპერმა შარშანდელი წლეულსაც შეძლო, ახლა, ცხადია, მეტი სურს. ასე რომ, მისთვის იქნებ სულ ერთიც არის, ვის დაეჯახება ფინალში — „რეალს" თუ „ბაიერნს".

იხილეთ მეორე გვერდი

REUTERS ვალენსიიდან

თამაში იყო, მეტოქეები ერთმანეთს ფეხზე ასხდნენ: ლიდსელი ერიკ ბაჯე და ფაბიო აურელიო

ორი ორზე ტორპედოზე

ვერ გეტყვით, 2 ივნისს იტალიასთან მსოფლიოს შესარჩევის წინ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცები აზერბაიჯანთან დღევანდელ აშხანაგურ პაექრობას, რადგანაც რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი მეზობლებს ოდენ ერთი ლეგიონერით შევსებულ საქართველოს კლუბთა ნაკრებს დაუპირისპირებენ და, ისიც წინასწარაა ცნობილი, რომ ქუთაისში „ტორპედოზე" სათამაშოდ გასული ფეხბურთელებიდან დიდი-დიდი სამ-ოთხს თუ მოუწევს „სკუადრა აძურასთან" შებრძოლება. თუმცა, ეგებ ღირდეს ჩიტი ბდღვნად, ბოლო-ბოლო, უძნელესი მატჩის წინ ის სამი თუ ოთხი კაციც ხომ გამოსაცდელია და საკლუბოში აყვანილთა შემოწმებაც არ გამოდგეს მთლად ურიგო... ერთი სიტყვით, დღეს ქუთაისში ქართველები აზერბაიჯანელებს ეთამაშებიან, თანაც ორი მატჩია „ტორპედოზე".

15 საათზე დაიწყება ჩვენი 19-წლამდელების მატჩი აზერბაიჯანელ თანატოლებთან, ხოლო სამი საათის შემდეგ საქმეში უფროსებიც ჩაებმებიან. საქართველოს ორივე გუნდს, ფაქტობრივად, ორი დღე ჰქონდა მოსამზადებლად და ეს მცირევადიანი შეკრებაც ერთად, „ტორპედოს" ბაზაზე გაიარეს. საკლუბომ ბოლო ვარჯიში გუშინ შუადღით ჩაატარა, 19-წლამდელთა გუნდის თავკაცმა გელა გომელაურმა კი გუშინვე ორჯერ ავარჯიშა შეგირდები.

ეროვნულის, იგივე საკლუბოს დამრიგებლებმა 21 მოთამაშე იხმეს გუნდში, აქედან 11(!) მათივე „ტორპედოდანაა".

მეკარეები: დავით ხმელიძე („როსტსელმაში", რუსეთი), ირაკლი ზოიძე, ნიკოლოზ ტოგონიძე, დავით გვარამაძე („ტორპედო"); მცველები: რევაზ ქემოკლიძე, სევასტი თოდუა, ვალერი აბრამიძე, ლევან სილაგაძე, მიხეილ მახვილაძე („ტორპედო"), ედიკ საჯაია, გიორგი ჭანკოტაძე („ვიტ ჯორჯია"), გიორგი შაშიაშვილი („დინამო");

ნახევარმცველები: გივი დიდავა, ზურაბ იონანიძე, ვალტერ გუჩუა („ტორპედო"), ალეკო გოგბერიშვილი, გიორგი ყიფიანი, ლაშა ნოზაძე („ვიტ ჯორჯია");

თავდამსხმელები: ლევან მელქაძე („ვიტ ჯორჯია"), კახა გოგიჩაიშვილი („ლოკომოტივი"), მიხეილ აშვეთია („ტორპედო").

აქვე ვთქვათ: „ტორპედოს" პრესმდივნის ცნობით, დავით გვარამაძე ქუთაისს ინგლისიდან ჩამოვიდა, სადაც პირველდივიზიონელ „ბოლტონში" ისინჯებოდა და, არ არის გამორიცხული, უკანვე გაბრუნდეს თუ „ბოლტონი" მისით სერიოზულადაა დაინტერესებული."

19 წლამდელთა სრული სია კი ასეთია: ორი მეკარე — იოსებ ჭრიკიშვილი („ვიტ ჯორჯია"), ლადო ნადირაშვილი („შევარდენი"); მამუკა ლომიძე (გერმანული „ობერხაუზენის" ფარმ-კლუბი), აკაკი კუპრეიშვილი, ნიკა მამფორია, მიხეილ ბუჯიაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, კობა კოპალიანი (ხუთივე „ვიტ ჯორჯია"), ნიკა გუშარაშვილი, ვასილ ღუჭაშვილი (ორივე „თბილისი"), დავით ფუტკარაძე („ლოკომოტივი", რუსეთი), დავით ქოქიაშვილი („სპარტაკი", რუსეთი), სოსო მანჭარაული („ლოკომოტივი"), გიორგი მჭედლიძე („ოლიმპიკი", თბილისი), გია ციმაკურიძე, ომარ ხარბედია (ორივე „21-ე საუკუნე"), შოთა ცერცვაძე, გოგა მოდებაძე (ორივე „ვალენსია" თბილისი).

ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრას ბაქოელი ჰაგანი მამედოვი განსჯის, ხოლო პირველი გუნდების თამაშს მერაბ მალაღურაძე გაუძღვება.

იხილეთ მეორე გვერდი

ბაბუაბ დარჩიას ფოტო

აზერბაიჯანელები იტალიამდე, თანაც საკლუბო ნაკრებები... ჩვენმა მეზობლებმა გუშინ ქუთაისის „ტორპედოს" მინდორი მოსინჯეს

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ 3:0 ᲚᲘᲓᲡ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ (0:0)

ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ. «ᲔᲡᲢᲐᲓᲘᲝ ᲛᲔᲡᲢᲐᲚᲘᲐ». 53 000 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

1:0, 2:0 ხუან სანჩესი (16, 47), 3:0 მენდიეტა (52)

კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, აურელიო, ალბელდა, მენდიეტა (ანგულო 73), აიმარი (დეშამპი 71), კილი გონსალესი (ვისენტე 65), კარეუ, ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური, ბეტი, ბაკე, კიუელი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი

ᲒᲐᲨᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ხუან სანჩესი, აიმარი. ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲐ: სმიტი (90)

ᲛᲡᲐᲯᲘ: ᲣᲠᲡ ᲛᲐᲘᲔᲠᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ)

REUTERS ჯალენსიიდან

ფიესტა „მესტალიაზე“

REUTERS ჯალენსიიდან

ხუან სანჩესმა ნაიჯელ მარტინს ორჯერ გაუტანა

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ
ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ 2:2 ᲩᲔᲚᲡᲘ
1:0 ოუენი (8), 1:1 პასელბაინკი (13), 2:1 ოუენი (60), 2:2 პასელბაინკი (67)

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ
ᲡᲐᲣᲗᲔᲜᲓᲘ 3:1 ᲒᲘᲜᲡᲒᲘᲚᲓᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

V ᲢᲣᲠᲘ
ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲝᲠᲒᲘ 1:1 ᲔᲚᲤᲡᲑᲝᲠᲒᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ
ᲑᲠᲔᲒᲔᲜᲪᲘ 2:0 ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠ�გᲘ

ᲗᲐᲡᲘᲡ 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ
ᲐᲓᲒᲘᲠᲐ ᲕᲐᲰᲔᲠᲘ 2:3ᲓᲐ. (1:1) ᲙᲐᲠᲜᲢᲔᲜᲘ (1:1)

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

E ᲯᲒᲣᲤᲘ
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ 1:3 ᲠᲣᲡᲔᲗᲘ
ᲩᲔᲩᲔᲗᲘ 4:2 ᲙᲐᲜᲐᲓᲐ

F ᲯᲒᲣᲤᲘ
ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ 1:3 ᲐᲨᲨ
ᲤᲘᲜᲔᲗᲘ 5:4 ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲝᲠᲘ ᲝᲠᲖᲔ ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝᲖᲔ

დასაწყისი პირველ გვერდზე

აზერბაიჯანელები გუშინ ნაშუადღევს გვესტუმრნენ 54-კაციანი დელეგაციით. ბაქოდან გარდაბნამდე მატარებლით უმგზავრიათ. გარდაბნიდან წყალტუბომდე „ტორპედოს“ კუთვნილი ავტობუსით. სტუმრები თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში დაბინავდნენ. საღამოხანს აზერბაიჯანის ახალგაზრდულმა წყალტუბოშივე „26 მაისს“ მიაშურა სავარჯიშოდ, სტუმართა პირველი გუნდი კი „ტორპედოზე“ გამოცხადდა და მატჩისწინა წვრთნას საათნახევარი დაუთმო.

აზერბაიჯანელთა მთავარ მწვრთნელს, არცთუ შორეულ წარსულში ჯერ ბაქოს „ნეფთჩისა“ და ცსკა-ში ნათამაშევ, 1988 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს და მერე შვედეთში გადახვეწილ იგორ პონომარიოვს ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ.

— ჯერ ის გვითხარით, შვედეთი საბოლოოდ დატოვეთ თუ არა?

— საბოლოოდ არა. მე ამ ქვეყნის მოქალაქეობა მივიღე, ამიტომ, დროებით უფრო აზერბაიჯანში ვარ. შარშან აგვისტოში ჩამოვედი აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით და ნაკრები ჩავიბარე.

— შვედეთში „ნორჩიოპინგში“ თამაშობდით. მერე?

— მერე ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ვიყავი. მოგვიანებით მეოთხე დივიზიონის „რეიმიშხელს“ ვწვრთნიდი დამოუკიდებლად. ჩემი 19 წლის ვაჟი ახლა იქ არის, შვედეთში, პირველი დივიზიონის კლუბ „იურგორდენში“ თამაშობს.

— რა მდგომარეობაში დაგხვდათ აზერბაიჯანული ფეხბურთი?

— მეტად სავალალოში და ეს არც მიკვირს. ყველაფერი ეროვნული ჩემპიონატიდან მომდინარეობს. ძალიან დაბალი დონეა და ეს ნაკრებსაც ეტყობა. რამდენიმე ლეგიონერი ამინდს ვერ შეეჩნის.

— ვინ არიან ისინი?

— ცოტანი არიან, ძირითადად რუსულ გუნდებში გამოდიან. მეკარეები დმიტრი კრამარენკო (მოსკოვის „დინამო“) და ალექსანდრ ჟიდკოვი („ანჟი“). „ანჟის“ წამყვანი მოთამაშეა ნარვიკ სირხაევიც, მაგრამ იგი, რატომღაც, ჩვენთან თამაშს უარობს. „ფაკელშია“ ყურბან ყურბანოვი. ჰო, ბულგარულ „ლოვიჩში“ თამაშობს ემინ გულიევი.

— ქუთაისში ნაკრები ულეგიონერებოდ ჩამოიყვანეთ, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებიც რომ ბლომად გაკლიათ...

— ჩვენ წინასწარ შევთანხმდით საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობასთან, რომ ლეგიონერების გარეშე ვითამაშებდით. რაც შეეხება ძირითადის სხვა მოთამაშეებს, ისინი ტრავმების გამო დაგვაკლდნენ. შემიძლია ჩამოვთვალო. სახლში დარჩნენ ნაკრების კაპიტანი ტარლან ახმედოვი, ვადიმ ვასილიევი, ბახტიარ მუსაევი, ქემალ კულიევი და საახალსეზონოდ თურქულ „ტრაბზონსპორში“ ადგილდაბეგებული ემინ იმამალიევი.

— მაშინ გვითხარით, რა მნიშვნელობას ანიჭებთ ასევე შესუსტებულ მეტოქესთან თამაშს?

ᲒᲐᲖᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲘᲡ ფოტო

იგორ პონომარიოვი

— ლბიუტანტების გამოცდა გვსურს, ნაკრების გაახალგაზრდავების პროცესი უნდა დავიწყოთ, მომავალზე ვიფიქროთ. გეცოდინებათ, ახლა მსოფლიოს შესარჩევში არანაირი შანსი არა გვაქვს.

— ეს ხომ არ ნიშნავს, რომ 2 ივნისს თურქეთთან შესარჩევ მატჩში ქუთაისში ჩამოყვანილ ბიჭებს ათამაშებთ?

— არა, ოფიციალურ თამაშში ვერ გავრისკავთ. შევეცდებით თურქეთთან და მერე სლოვაკეთთანაც უძლიერესი შემადგენლობა შევკრიბოთ.

— ბადრი კვარაცხელიას რატომ არ უხმეთ ნაკრებში?

— ბადრი კარგი ფეხბურთელი, საუკეთესო პიროვნება გახლავთ. მასთან მუშაობა მსიამოვნებს. ამასწინათ „შამქირ“ — „ნეფთჩის“ პრინციპულ მატჩში გადამწყვეტი გოლი მისი პასით გავიდა. კვარაცხელიას ტრავმა ჰქონდა და ნაკრებში არ გამომიძახებია.

— აზერბაიჯანის ჩემპიონატი დასრულდა, თუმც ჩემპიონი ჯერ არ გამოვლენილა...

— „შამქირმა“ და ბაქოს „ნეფთჩიმ“ 51-51 ქულით დაასრულეს გათამაშება. 15 მაისს მათ შორის დამატებითი მატჩი გაიმართება. დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ლაპარაკობენ, რომ ამ თამაშის სამსაჯოდ ქართველ არბიტრებს მიიწვევენ.

— და ბოლოს, იქნებ ნაკრების სრული შემადგენლობა გაგვაცნოთ...

— მეკარეები: ნადირ შუქუროვი („დინამო“ ბაქო), ჯაბანგირ გასანზადე („ნეფთჩი“); მცველები: მეხმან იუნუსოვი, ასლან ქერიმოვი (ორივე „შამქირი“), ილხამ იადულაევი („ნეფთჩი“), ფიზული მამედოვი („შაფა“ ბაქო), აბუზარ იბრაგიმოვი („ვილიაში“ მასალი); ნახევარმცველები: ვიდადი რზაევი, მახმუდ ყურბანოვი (ორივე „შამქირი“), რამიზ მამედოვი (ექს მოსკოვის სპარტაკელში არ აგერიოთ — ი.კ.), ელჩინ რახმანოვი, რუსლან მუსაევი (სამივე „შაფა“), მუბარიზ ორუჯევი („ვილიაში“); თავდამსხმელები: სამირ ალიევი, ფარუზ ისმაილოვი (ორივე „ნეფთჩი“), ზაურ ტაგიზადე („შაფა“).

ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲪᲝᲓᲝᲐ ᲙᲐᲪᲘ!

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ „ფრაიბურგის“ თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა სეზონი იძულებით და ნაადრევად დაამთავრა.

შაბათს, როცა „ფრაიბურგი“ ბერლინის „ჰერტას“ სამასპინძლოდ ემზადებოდა, ვარჯიშზე ჩვენებურ ფორვარდს მარჯვენა ფეხის კუნთი ეტკინა და საექიმო შეიქნა. მან „ჰერტასთან“ მატჩი ხომ გამოტოვა და ორშაბათ დილით, ფეხზე რენტგენი რომ გადაიღო, ექიმთა სამწუხარო დაიგნოზი მოისმინა — კუნთი გაწყვეტილია, თანაც ისე-

— ერთი-ორი კვირა მკურნალობისთვის საკმარისი არ იქნება — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა, როცა ფრაიბურგში შევეხმიანეთ — ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ რა ვქნა, სეზონი დავამთავრე. არადა, სწორედ ახლა გვაქვს მეტად პრინციპული მატჩები. უკვე რეალურია იმის შანსი, რომ უეფას თასზე ვითამაშოთ. მე კი არ გამიმართლა. მწვრთნელი ფინკეც განერვიულდა, ექიმებმა ეს ამბავი რომ უთხრეს, მაშინვე დამიკავშირდა, დამამშვიდა, გამამხნევა, მჭირდებოდი, მაგრამ რაღას ვიზამთო. ახლა შვეიცარიაში უნდა ვიმკურნალო, იქ ნაცნობი ექიმი მყავს და როცა მას ველაპარაკე, მითხრა, გამოსაჯამთელებლად თვე-თვენახევარი დაგჭირდებაო. ტრავმას მოვიშუშებ და თბილისში მერე ჩამოვალ. იმედი მაქვს, ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდის დაწყებამდე ყველაფერი კარგად იქნება.

შეგახსენებთ, „ფრაიბურგის“ მეორე ქართველი ლევან ცქიტაშვილიც ტრავმირებული იყო, თუმც კი მან ნელ-ნელა ვარჯიში განაახლა და შესაძლოა ბუნდესლიგის დამთავრებამდე მოასწროს კიდეც თამაში.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ძილის წინ მოყოლილი ზღაპარი

ვითომ შორია ოქროამდე?

I–VI ადგილები

ლოკომოტივი 2:2 კოლხეთი		
9	დაჯარიმდა	7
3	კუთხური	3
6	კარისკენ დარტყმა	5
6	კარში დარტყმა	5
1	თამაშგარე	0

ტორპედო 1:1 ვიტ ჯორჯია		
15	დაჯარიმდა	19
5	კუთხური	3
5	კარისკენ დარტყმა	3
7	კარში დარტყმა	6
3	თამაშგარე	5

დინამო 4:0 მერანი		
8	დაჯარიმდა	11
7	კუთხური	2
8	კარისკენ დარტყმა	4
9	კარში დარტყმა	3
0	თამაშგარე	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ფოფალი

დინამოელმა გიორგი მიქაძემ (№20) „მერანს“ ერთი გოლი აკმარა

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ასე მჯერა — „ტორპედო“ ჩემპიონია! „დინამო“ ვერცხლით გამოისწორებს ოდნავ წამხდარ გუნებას. ბრინჯაოს მედალს მწვანე ფერი შეეპარება და „ვიტ ჯორჯია“ ჩამოიკიდებს გულზე.

კი მაგრამ, „ლოკომოტივს“ რაღაო, აღშფოთდებიან რკინიგზელები. რა და, თასი უფას საგზურიანად. არეულ-დარეული არდადეგების შემდეგ ესეც საქმეა.

ყველაფერს თავის სახელს ბოლო ტური დაარქმევს, მანამდე ნუ ელით ნურც ჩემპიონს და ნურც პრიზიორებს. რატომო, იკითხავს მავანი. ასეა საჭირო და იმიტომ. გაიგოს ქვეყანამ რა დაძაბული ჩემპიონატი გვაქვს.

ზემოთ ნაოქვამი შეიძლება აბსურდულად მოგეჩვენოთ და ძილის წინ მოყოლილ ზღაპარს მიამგვანოთ, მაგრამ ასე უნდა მოხდეს. თუ რატომ, ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

მანამდე, დასკვნითი ეტაპის მეშვიდე ტურში, „ლოკომოტივმა“ ჩემპიონობის, ჩემპიონთან მიახლოების კიდევ ერთი შანსი გაუშვა ხელიდან. რატომ „ლოკომოტივმა“ და რატომ არა „ტორპედომ“?

რკინიგზელებმა „კოლხეთთან“ თამაშის დამთავრებამდე 6-7 წუთით ადრე იცოდნენ „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის შედეგი. თბილისური დაპირისპირების მსაჯ-დელეგატმა „26 მაისის“ გასახდელში ზომაზე მეტხანს დაისვენეს. დაგვიანების მიზეზი ჯერ არავის უთქვამს. ტაიმებს შუა რაიმე პრობლემა რომ წამოჭრილიყო, ჟურნალისტებიც შეიტყობდნენ. სხვა მხრივ წესები დაირღვა, ეს კი ყველასთვის მიუღებელი უნდა იყოს.

ვერ იხეირეს მასპინძლებმა იმ „საიმედო“ წუთებით, ვერ დაამარცხეს სტუმრები. შეიძლება ასეც ითქვას, „ლოკომოტივს“ ჩემპიონობა „კოლხეთმა“ დააკარგვინა. ზღვისპირელებმა ოთხი ქულა აართვეს რკინიგზელებს. ნოდიას გუნდს ის ოთხი ქულა რომ ჰქონდეს...

ერთი უცნაური თავისებურება დასჩემდა „ლოკომოტივს“. ბოლო დროს თითქმის მოპოვებულ სამ ქულას ქარს ატანს. ასე იყო შაბათსაც. ახლოს იყვნენ მასპინძლები გამარჯვებასთან, მაგრამ ნაადრევად დაიარხეინეს თავი და საბოლოოდ ქულას დასჯერდნენ.

„კოლხეთისთვის“ კი ყველაფერი სულერთია. უნდა მოინდომებს და ითამაშებს, არადა, რა გინდა მოსთხოვო, უმოტივაციო და არაფრისთვის მებრძოლი გუნდია მეთორმეტე ჩემპიონატში.

ბუბა დოლიძის ფოტო

რკინიგზელმა მურთაზ შელიამ (შუაში) კოლხ მიხეილ ქობულაძეს კი აჯობა, მაგრამ მეკარე მამუკა გვასალიას ვერაფერი დაეკლო

„ლოკომოტივისა“ არ იყოს, ერთი შანსი კიდევ დაწინაურებისა „ტორპედომაც“ გაუშვა. ვერა და ვერ მოახერხეს ჩემპიონებმა შინ ვეტერინართა ძლევა. ამჯერადაც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ეს გორაშვილი...

თანაგუნდელებში „ჟომსკად“ წოდებულმა ფეხბურთელმა უკვე მეორედ დააჯერა რიონისპირელები ოდენ ქულას. ერთიცაა საგულისხმო, გორაშვილი თამაშის დამთავრებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე შეჰყავთ მოედანზე, მერე ერთს საგოლედ მოიქნევს და ქულაც მოაქვს ქუთაისიდან.

ქულა დაბევებული „ვიტ ჯორჯია“ ქუთაისური სარბიელიდან გასაპარებელი შეიქნა. ცენტრალურ გასასვლელთან ჩასაფრებულმა ბიჭ-ბუჭობამ ქვები დააყარა ვეტერინართა ავტობუსს. სათადარიგო გასასვლელიდან გამოსულ სტუმრებს მაინც უწია ქვის წვიმამ, თუმც იყოჩაღეს პოლიციელებმა და ავტობუსს ოდენ მინა ჩამსხვრევია, დაშავებით კი არავინ დაშავებულა.

ისე, ქვები და ავტობუსის დალეწვა უცხო როდია ვიტელთათვის. გასულ ჩემპიონატში გაცილებით მძიმე გამოცდას გაუძლეს ვეტერინარებმა ბათუმში. იქაც ბავშვები და ქვები იყვნენ შემტევები.

ამბობენ, ქვა თამაშის დროს ერთ-ერთ თანასამსაჯსაც მოხვდაო. არ არის გამორიცხული, მაგრამ მომჩივანიც რომ არავინ გამოჩენილა?!

ამასობაში „დინამომ“ „მერანს“ ოთხი უპასუხო გოლი რომ გაუტანა, კიდევ ერთი საფეხურით აიწია ზემოთ და ვერცხლს თამამად შეეთამაშა. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. „დინამოს“ გაჩემპიონების შანსიც აქვს და, ალბათ, თავისას ეცდება, მაგრამ დღეს ძალიან შორია ოქრომდე.

„მერანის“ უპირველესი საფიქრალი მხოლოდ 15 მაისი და თასის ნახევარფინალის საპასუხო თამაშია. ჩემპიონატში კი ამოწურულია ავჭალელთა მისია.

სტუმრებმა ძირითადის სამი მოთამაშე დისკვალიფიკაციის გამო მოისაკლისეს, რამდენიმე ტრავმებსა და ყვითელ ბარათებს მოარიდეს. ჰოდა, გაინავარდა „დინამომ“. ზირაქიშვილმა ჰეთ თრიქი მიითვალა... ვითომ შორია ოქრომდე?..

ზეიქვსეულის სამ თამაშში 10 გოლი გავიდა, ამათგან 7 — სტუმართა კარში. ძალიან ინერვიულეს მასპინძლებმა, მაგრამ ტური მაინც მათი იყო. ხუთი ქულა ორის საწინააღმდეგოდ მაინც უპირატესობაა.

ქვეექვსეულში ერთბაშად სამი გუნდია გავარდნის ზღვარზე. „დილა“, „გორდა“ და თსუ... რომელია ამათგან განწირული, მალე შევიტყობთ.

მეშვიდე ტურში ყველაზე მეტად „დილას“ გაუმართლა. ერთ უშუალო კონკურენტს თავად სძლია, ხოლო მეორემ შინ „ბათუმთან“ სასიცოცხლო ქულები გაანიავა.

ქულები და მოგებათა რაოდენობა სამივეს თანაბარი დაგროვებიათ, წინ კიდევ სამი ტურია.

„დილას“ ორი გასვლითი მატჩი დარჩა. ერთი კონკურენტ „გორდასთან“ და ერთიც აწ უკვე გავარდნილ „იბერიასთან“. ბოლოს შინ „სიონს“ ელიან გორელები, ვისაც ლიგის დატოვების საშიშროება მაინცდამაინც არ ეშუქრება.

თითქმის ოვივე დღეშია „გორდაც“. შინ ხომ „დილას“ იწვევენ, სტუმრად კონკურენტ თსუ-სთან მოუწევთ პაექრობა და სტუმრადვე ეთამაშებიან „იბერიას“.

სტუდენტები მერვე ტურში მასპინძლობენ კონკურენტ რუსთაველებს, მერე მიდიან ბოლნისში და დაუხვდებიან „ბათუმს“, რომელსაც იმ დროისთვის შეიძლება ყველაფერი გადაწყვეტილიც ჰქონდეს.

და მაინც, გადარჩენისა და გავარდნის შანსი სამივესთვის თანაბარია. ვნახოთ, ეძანდ ყველაფერი სკანდალით არ დასრულდეს.

წინ კი... თუმცა არა, ძილის წინ კიდევ ერთი ზღაპრის გამოცხობისგან ამჯერად თავს შევიკავებ.

გამუცა კვანტალიანი

სიმბოლური ნაკრები

- პაატა მაძუტაძე — ბათუმი
- ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
- გელა ფანჩულიძე — კოლხეთი
- გივი დიდავა — ტორპედო
- ვასტანგ იაგორაშვილი — დინამო
- ვლადიმერ გოჩაშვილი — ვიტ ჯორჯია
- აჩრილ სახვაძე — დინამო
- მიხეილ მაზიაშვილი — დინამო
- მიხეილ ძოგულაძე — კოლხეთი
- გიორგი რევაზიშვილი — დილა
- სერგო ჭურაძე — ვიტ ჯორჯია

გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: ჯანი კარნიანელი

უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	7	4	2	1	9:5	4	38	4	3	1	0	7:1	6	10	3	1	1	1	2:4	-2	4
2 დინამო	7	2	4	1	11:7	4	34	4	2	2	0	9:4	5	8	3	0	2	1	2:3	-1	2
3 ლოკომოტივი	7	1	3	3	6:9	-3	34	4	1	3	0	6:4	2	6	3	0	0	3	0:5	-5	0
4 ვიტ ჯორჯია	7	3	2	2	11:8	3	30	3	3	0	0	7:1	6	9	4	0	2	2	4:7	-3	2
5 კოლხეთი	7	2	1	4	8:12	-4	23	3	2	0	1	4:2	2	6	4	0	1	3	4:10	-6	1
6 მერანი	7	1	2	4	1:11	-10	18	3	2	1	0	1:3	-2	4	4	0	1	3	0:8	-8	1

უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ბათუმი	7	3	3	1	8:3	5	26	3	2	0	1	3:1	2	6	4	1	3	0	5:2	3	6
2 სიონი	7	4	2	1	11:7	4	24	4	3	1	0	6:1	5	10	3	1	1	1	7:6	1	4
3 დილა	7	3	1	3	13:6	7	19	4	3	1	0	13:2	11	10	3	0	0	3	0:4	-4	0
4 გორდა	7	3	1	3	9:10	-1	19	4	3	1	0	10:4	6	10	3	1	0	2	2:5	-3	3
5 თსუ	7	3	0	4	7:14	-7	19	3	2	0	1	5:3	2	6	4	1	0	3	2:11	-9	3
6 იბერია	7	0	1	6	5:19	-14	3	3	0	1	2	3:7	-4	1	4	0	0	4	2:12	-10	0

VII–XII ადგილები

დილა 4:0 თსუ		
26	დაჯარიმდა	22
6	კუთხური	3
7	კარისკენ დარტყმა	5
11	კარში დარტყმა	3
15	თამაშგარე	8

გორდა 1:1 ბათუმი		
10	დაჯარიმდა	23
6	კუთხური	2
10	კარისკენ დარტყმა	4
5	კარში დარტყმა	5
4	თამაშგარე	5

სიონი 1:0 იბერია		
14	დაჯარიმდა	25
5	კუთხური	1
8	კარისკენ დარტყმა	4
9	კარში დარტყმა	2
5	თამაშგარე	6

ბომბარდირები	
21 - ზირაქიშვილი	დინამო
13 - ლ. მელქაძე	ვიტ ჯორჯია
11 - დ. გოდერძიშვილი	მერანი
10 - რუსია	ლოკომოტივი
იონანიძე	ტორპედო
9 - გადელია	დინამო
გ. შენგელია	ლოკომოტივი
ყულეჯიშვილი	ბათუმი
ისიანი	სიონი
8 - ა. მუჯირი	ბათუმი
გ. ვ. მიქაძე	დინამო

ინგლისელებს სიტის ქინქლაძე გაახსენდათ

ქართული აქცენტი უკრაინაში

რამდენი ხანია გიორგი ქინქლაძის ქება აღარ გვსმენია? შაბათს კი, მოზეიმე „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დიდებულად ითამაშა. ინგლისელი მიმომხილველების აზრით, ეს გიოსთვის სეზონის საუკეთესო მატჩი იყო. ქართველი ნახევარმცველი გონივრულად უძღვებოდა დერბელთა შეტევებს და მეკარე ბარტეზის კართანაც არა ერთხელ დამუხტა ვითარება. ინგლისელები წერენ, „მანჩესტერ სიტის“ ქინქლაძე გაგვახსენდაო...

„დერბიმ“ ჩემპიონს 1:0 მოუგო და პრემიერლიგაში დარჩენა გაინაღდა. აი, „სიტი“ კი, „სიტი“ ისევ გავარდა...

მეზობელ შოტლანდიაში „დანდის“ გულშემატკივრებს გიორგი ნემსაძე კლუბის აპრილის საუკეთესო ფეხბურთელად დაუსახელებიათ, ხოლო გერმანიაში, ერთ-ერთ ლიდერ „ჰერტასთან“ მატჩში ფრაიბურგელმა ლევან კობიაშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბუნდესლიგის უკეთეს გუნდში თამაშსაც იმსახურებს. 2,5 ქულა „კიკერისგან“ ურიგო შეფასება ნამდვილად არ არის. „ფრაიბურგი“ კი ძალიან ახლოა უეფას თასის საგზურთან. ეგ არის, შეტევის ლიდერი ალექსანდრე იაშვილი დაუშავდათ და დარჩენილ მატჩებს გამოტოვებს.

კიოლნელმა არჩილ არველაძემ კი საკუთარ კარში გაიტანა. წინა ტურში აჩიკო სულ სამი წუთის შესული გახლდათ მინდორზე „კოტბუსს“ რომ გაუტანა, ახლა კი თამაშში წუთის ჩართულიც არ იყო, მეტოქე თავდამსხმელის დარტყმული ბურთი რომ მოხვდა და თავის კარში შეაგდო...

იტალიაში ჩეზარე მალდინის ხელში პირველად წააგო „მილანმა“ — 1:2. კერკეტი გუნდი „პერუჯა“ აღმოჩნდა, გუნდი, რომელმაც „შავ-წითლებს“ წლეულს „სან სიროზეც“ მოუგო, 1999-ში კი სწორედ ამ პროვინციული ქალაქის სტადიონზე გახდნენ უკანასკნელად ქვეყნის ჩემპიონები. სტუმრებმა კახა კალაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანეს, ტელეკომპანია „რაი უნომ“ ყველაზე მაღალი შეფასებები (6) ქართველსა და პაოლო მალდინის დაუწერა.

გოგა გახოკიძე ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა. მისმა „ეინდჰოვენმა“ „ჰერენვენს“ 3:0 მოუგო და მოწინააღმდეგეთათვის მიუღწეველია. გოგას არ უთამაშია. თუმცა წარმატება თანაგუნდელებთან ერთად აღნიშნა და საჩემპიონო სინიც აღმართა.

ახლა უკრაინულ ამბებზე ვთქვათ. კვლავ წაგო ტერნოპოლის „ნივამ“. ამჯერად მარიუპოლში „მეტალურგთან“ და როგორც ჩანს, უმაღლეს ლიგაში დარჩენა აღარ უწერია. ტერნოპოლელებმა საგაზაფხულო ეტაპის რვავე მატჩი წააგეს, ამ დროში მხოლოდ 4 ბურთი გაიტანეს და 24 გაუშვეს. აბა, ასეთი შედეგით რისი იმედი უნდა ჰქონდეთ? ამბობენ, ყველაფერი ფინანსური კრიზისის ბრალიაო. მარიუპოლში სტუმრებმა ლამის სათადარიგო შემადგენლობით ითამაშეს — ზოგი გუნდიდან წავიდა, ზოგიც შინ სხვადასხვა მიზეზით დარჩაო.

გუნდის ლიდერებს, ტყუპ კაპანაძეებს უკვე ერთი თვეა აღარ უთამაშიათ. საქართველოში დაბრუნდა შოთა ჩომახიძე, რომელიც კარიერას სამტრედიის „იბერიაში“ აგრძელებს და გასულ შაბათს ბოლნისში „სიონის“ წინააღმდეგაც გამოჩნდა მინდორზე.

აი, „ტავრიის“ ქართველებმა კი თავი გამოიჩინეს. სიმფეროპოლელები ლვოვის „კარპატის“ მასპინძლობდნენ. ეს ორივე გუნდი „ინტერტოტოს“ საგზურისთვის იბრძვის და თამაშიც ერთობ პრინციპული გამოდგა. „წარმატება ქართული აქცენტით“ — ასე დაასათაურა „უკრაინსკი ფუტბოლმა“ მატჩის მიმოხილვა. მართლაც, ჯერ სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ ჩვენებურთა მონდომებით მიტროფანოვმა გაათანაბრა, მერე ვასილ გიგიაძემ გაიტანა პენალტი, დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კი მეტოქის საჯარიმოში ყველას ტრაპაიძემ დაასწრო და 3:1.

ისრაელში წიტაიშვილის „ირონიმ“ შინ წააგო ოქტომბრის შემდეგ პირველად დაქვეითდა მეცხრედან მეათე ადგილზე. ეგებ ერთი საფეხურით დაღმასვლა ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ახლა, როცა ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა „ქვედა პლეი ოფში“ ვითარება ფრიად დაიძაბა. „ირონი“ უშუალო კონკურენტ თელ ავივის „ბნეი იეჰუდასთან“ 0:1 დამარცხდა, კიდევ ერთმა მოცილე „აშდოდმა“ უკვე გავარდნილ „ცაფრირიმს“ ასეთივე ანგარიშით მოუგო და „ირონის“ გადასწრო.

ლეუმოთში (ქვედა ლიგაში) ორი გუნდი ვარდება. ბოლო გასაგებია, „ცაფრირიმა“. მის წინ 30 ქულით „ბნეი იეჰუდა“ დგას, ერთით მაღლა „ირონია“ (34), „აშდოდს“ 35 ქულა მოუგროვდა. სწორედ ამ სამს შორისაა კიდევ ერთი მომავალი ლეუმითელი.

ბოლო დროს კობაც აღარ გვახსენებს თავს. ქართველს თებერვლის მერე აღარ გაუტანია და ბომბარდირთა დავაშიც, სადაც ერთ დროს მეორე ადგილზე იყო, შეექვსმდე დაქვეითდა. ახლა წიტაიშვილს 12 გოლი აქვს, თელ ავივის მაკაბელი ავი ნიმნი კი 20 გოლით ლიდერობს. სხვათა შორის, კობასავით 12 ბურთი მოუგროვდათ საქართველოს ნაკრების კარში ორი გოლის გამტან, იერუსალიმის ბეითარელ ალონ მიზრახის და თბილისური მატჩის კიდევ ერთ მონაწილეს, ჰაიფას მაკაბელ იოსი ბენაიონს.

აზერბაიჯანის ცოტა გაუგებარი ჩემპიონატი დამთავრდა, თუმცა გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. „შამქირმა“ და „ნეფთჩიმ“ თანაბარი ქულები მოაგროვეს და „ოქროს მატჩს“, სავარაუდოდ, სუმგაითში გამართავენ. კილასონიების „თურანმა“ სეზონი მეხუთე საფეხურზე დაამთავრა, ძებისაშვილის „ხაზარ უნივერსიტეტმა“ კი მეშვიდეზე.

სოლომონ გულისაყვილი

გიორგი ქინქლაძემ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა			
გერმანია								
ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰერტა 1:0	0	ტრავმირებულია	26	5	7
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰერტა 1:0	90		28	8	7
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰერტა 1:0	0	ტრავმირებულია	20	0	7
გიორგი კიკნაძე	ფრაიბურგი	შ	ჰერტა 1:0	0		0	0	7
არჩილ არველაძე	კიოლნი	ს	მიუნხენი 1:3	7	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი(სკ)	25	6	9
მეორე ბუნდესლიგა								
მიხეილ საჯაია	როიტლინგენი	შ	ოსნაბრუკი 2:0	3	შეცვლაზე ითამაშა	7	0	8
გიორგი დეკანოსიძე	ფიურტი	ს	არმინია 1:1	0		1	0	3
ინგლისი								
პრემიერლიგა								
გიორგი ქინქლაძე	დერბი	ს	მანჩესტერი 1:0	77	შეცვალეს	23	1	16
რატი ალექსიძე	ჩელსი	შ	ევერტონი 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	2	0	6
პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ვულვზი	შ	ბოლტონი 0:2	90		20	3	12
	ვულვზი	შ	ქუინზ პარკი 1:1	90		21	3	12
შოტლანდია								
პრემიერლიგა								
გიორგი ნემსაძე	დანდი	შ	კილმარნოკი 2:1	90		33	2	6
ზურაბ ხიზანიშვილი	დანდი	შ	კილმარნოკი 2:1	82	შეცვალეს, ტრავმა	5	0	6
იტალია								
სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	პერუჯა 1:2	90		13	2	5
ესპანეთი								
პრიმერადივიზიონი								
გიორგი დემეტრაძე	სოსიედადი	შ	ვალენსია 1:2	0	ტრავმირებულია	1	0	18
ჰოლანდია								
უმაღლესი ლიგა								
შოთა არველაძე	აიაქსი	ს	ვალვაიკი 2:2	45	შეცვლაზე ითამაშა	23	13	4
გოგა გახოკიძე	ფსვ ეინდჰოვენი	შ	ჰერენვენი 3:0	0		4	0	1
ბელგია								
უმაღლესი ლიგა								
გელა შეყილაძე	ლიერსი	ს	ბეერსხოტი 0:6	16	გაძევეს	27	1	10
ლაშა ჯაკობია	აალსტი	შ	შარლეროა 4:0	0		3	1	16
შვეიცარია								
უმაღლესი დივიზიონი								
გოჩა ჯამარაული	ციურიხი	ს	ბაზელი 1:2	90		30	9	6
მიხეილ ყაველაშვილი	ციურიხი	ს	ბაზელი 1:2	69	შეცვალეს	28	12	6
A/B ჯგუფი								
ლევან ხომერიკი	არაუ	შ	ვინტერტური 2:0	22	შეცვლაზე ითამაშა	24	6	4
ზაზა ზამთარაძე	ვინტერტური	ს	არაუ 0:2	45	შეცვალეს	?	0	6
რუსეთი								
უმაღლესი ლიგა								
ზაზა ჯანაშია	ლოკომოტივი	შ	ალანია 3:1	90	საგოლე პასი	8	2	5
ოთარ ხიზანეიშვილი	სპარტაკი	შ	ფაკელი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
ზურაბ ფოფხაძე	ალანია	ს	ლოკომოტივი 1:3	0	სარეზერვო გუნდშია	5	0	14
თორნიკე რუხაძე	ალანია	ს	ლოკომოტივი 1:3	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	14
დავით ხმელიძე	როსტსელმაში	შ	ზილი 1:0	0		0	0	15
უკრაინა								
უმაღლესი ლიგა								
გოჩა ტრაპაიძე	ტავრია	ს	მეტალისტი 0:3	45	შეცვალეს	16	1	9
	ტავრია	შ	კარპატი 3:1	90	1 გოლი	17	2	7
ვასილ გიგიაძე	ტავრია	ს	მეტალისტი 0:3	90		13	3	9
	ტავრია	შ	კარპატი 3:1	90	1 გოლი (პენ)	14	4	7
ავთანდილ კაპანაძე	ნივა	შ	დნიპრო 0:2	0		15	6	14
	ნივა	ს	მეტალურგი 1:5	0		15	6	14
ტარიელ კაპანაძე	ნივა	შ	დნიპრო 0:2	0		15	1	14
	ნივა	ს	მეტალურგი 1:5	0		15	1	14
ავთანდილ გვიანიძე	ნივა	შ	დნიპრო 0:2	0		9	2	14
	ნივა	ს	მეტალურგი 1:5	0		9	2	14
ლევან მიქაძე	ცსკა	შ	დინამო 1:5	90		?	0	5
	ცსკა	ს	დნიპრო 0:2	90		?	0	5
პოლონეთი								
უმაღლესი ლიგა								
მამია ჯიქია	რუხი	შ	შლონსკი 3:1	52	შეცვლაზე ითამაშა	13	1	8
	რუხი	ს	ამიცა 1:2	90		14	1	8
ისრაელი								
უმაღლესი ლიგა								
კობა წიტაიშვილი	ი. რიშონი	შ	ბნეი იეჰუდა 0:1	90		29	12	10
საბერძნეთი								
უმაღლესი ლიგა								
ლევან ქებაძე	იანინა	შ	არისი 2:1	45	შეცვალეს	19	2	12
გოდერძი ნატროშვილი	პანაჰაიკი	შ	პანილიაკოსი 3:0	90		8	1	10
ლატვია								
უმაღლესი ლიგა								
ალექსანდრე რეხვიაშვილი	სკონტო	შ	რიგა 1:0	0		3	1	1
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	შ	რიგა 1:0	0		2	0	1
დავით ჩალაძე	სკონტო	შ	რიგა 1:0	60	შეცვალეს	5	1	1
ლევან კორლალიძე	სკონტო	შ	რიგა 1:0	45	შეცვლაზეითამაშა, 1 გოლი	4	2	1
გივი კვარაცხელია	სკონტო	შ	რიგა 1:0	45	შეცვალეს	3	0	1
თამაზ პერტია	რიგა	ს	სკონტო 0:1	0		0	0	6
აზერბაიჯანი								
უმაღლესი ლიგა								
ვარლამ კილასონია	თურანი	შ	შამქირი 1:2	86	შეცვალეს	14	5	5
გია კილასონია	თურანი	შ	შამქირი 1:2	90		16	8	5
კახაბერ ძებისაშვილი	ხაზარი	ს	არაზი 0:2	90		18	6	7

აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის მონაცემებში არ არის შეტანილი ერთი ტურის შედეგები

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

დინამო: ბოლო გაჩერება. გთხოვთ, გაათავისუფლოთ წერეთელი

აქეთ-იქით სიარულში ბევრი გაუცდა ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველ მამუკა წერეთელს. 21 წლის ფეხბურთელმა შარშან შემოდგომაზე დატოვა ოსური „ალანია“ და დონეცკის „შახტარს“ მიაშურა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა და ახალი სეზონისთვის შეკრებაზე მყოფ „ალანიაში“ დაბრუნდა, თუმც დიდხანს ვერც იქ შეყოვნდა. მერე სამშობლოში ჩამოვიდა წერეთელი, თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობდა და წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საგაზაფხულო ეტაპიდან ათგზის ჩემპიონის ღირსება უნდა დაეცვა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა, კარიერის უცხოეთში გაგრძელება ამჯობინა, კერძოდ, დანიურ „ბრონდბიუში“ სურდა გადასვლა და არც ამ ვარიანტმა გაუმართლა.

უთამაშებელ და უგუნდოდ მყოფ წერეთელს იმაშიღა გაუმართლა, რომ მურთაზ ხურცილავას დროინდელ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოუძახეს და რუმინეთის წინააღმდეგ ათამაშეს.

ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს ნიჭიერი მცველი ნორმალურ პირობებსაც გამორჩება და სათამაშო პრაქტიკასაც. მამუკა წერეთელი კვლავ თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს და კლუბი მეთორმეტე ეროვნულის ბოლო სამი თამაშისთვის მის განაცხადში შეყვანასაც აპირებს, თუმც კვლავ მოსაგვარებელია ფორმალური მხარე — „ალანიადან“ გათავისუფლების ფურცელი და რუსეთის საფეხბურთო კავშირიდან სატრანსფერო სერთიფიკატია მისაღები, მაგრამ როგორც თვით ფეხბურთელი ირწმუნება, ამას წინ არაფერი უდგს.

„დინამოში“ კიდევ ერთი ნიჭიერი მცველი ვარჯიშობს, რომელიც ამ სეზონში გაიცნო ჩვენმა გულშემატკივარმა — 18 წლის ალეკო ამისულაშვილი ჯერაც სამტრედიის „იბერიაში“ თამაშობს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, მომავალი სეზონიდან „დინამოს“ მაისურა მოირგოს.

დავით თავგართქილაძე

ფოტო დეოლანგაშვილის ფოტო

ალეკო ამისულაშვილი

ფოტო ბადრი ბეროლაძის ფოტო

მამუკა წერეთელი

კომპიუტერული თამაშები: XXI საუკუნის სპორტი. კომპიუტერული ფეხბურთი

მეოცე საუკუნის დასასრულს ამერიკელმა ბილ გეიტსმა მნიშვნელოვნად შეცვალა კაცობრიობისა და მათ შორის ბავშვების ცხოვრება, იგი უფრო შინაარსიანი და საინტერესო გახადა. თუ ჩვენ ადრე ვამბობდით ცნობილ ფრაზას ფილმიდან „თოჯინები იცინიან“ — რა იყო რევოლუციამდელი ბავშვის ცხოვრება, მას არ ჰქონდა — რა? — სათამაშო, ასევე წარმოუდგენელია დღეს ბავშვების ცხოვრება SONY PLAYSTATION — 1,2-ის გარეშე, უამრავი საინტერესო თამაშების გარეშე. როგორც პატარებში, ისე დიდებში განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს კომპიუტერული ფეხბურთი SOCCER 2000, SOCCER 2001, სადაც თითქმის რეალობამდეა მიყვანილი დიდი ფეხბურთი. ამ თამაშებიდან ჩნდება უნიკალური შესაძლებლობა საყვარელი გუნდით მონაწილეობა მივიღოთ მსოფლიო ჩემპიონატში. ფეხბურთის ისეთ გრანდიოზულ ურთიერთობა, როგორებიც არიან რივალდო, ფიგუ, ზიდანი, სულს სიხარულის აღმაფრენით ავსებს და ამასთან მსოფლიო ენციკლოპედიის მონაწილეს გვხდის.

გუნდის არჩევა, დაკომპლექტება, მაყურებლების მხარდაჭერა, მსაჯის მკაცრი მოქმედება, კამერის დისტანცია, თამაშის სისწრაფე, საინტერესო მომენტების გამეორება, პენალტების სერია მეტად აახლოვებს კომპიუტერულ ფეხბურთის რეალურ ფეხბურთთან.

და აი, ამ საუკუნის პირველივე დღეებში საქართველოში შეიქმნა საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია, რომლის მიერაც მიმდინარეობს კომპიუტერული ფეხბურთის, ჭადრაკის, აღმოსავლური ორთაბრძოლების, ავტორალის და სხვა კომპიუტერული სახეობის სპორტად ქცევის პროცესი.

ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩვენს მიერ დაგეგმილი თბილისის ღია ტურნირი კომპიუტერულ ფეხბურთში ვაჟთა შორის, რომელიც გაიმართება სპორტის სასახლეში ამა წლის 20 მაისს.

ვინ ვევთ ყველა მსურველს 20 მაისამდე სპორტის სასახლეში, სადაც გაიმართება მსურველების გაერთიანება ფედერაციაში. ისინი გადიხდიან სანებავრო 10 ლარს, გახდებიან რა ფედერაციის წევრები, მიიღებენ ფედერაციის მოწმობას და უფლებას, ჩაებან ჩემპიონატის შესარჩევ ტურში

ჩემპიონატის პროგრამა



1. ჩემპიონატი ტარდება კომპიუტერულ ფეხბურთში SOCCER 2000-ში.

2. ორი ასაკობრივი კატეგორია 17 წლამდე და 17 წლის ზევით.

3. ჩემპიონატის შესარჩევი ტური ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, რომლის შემდეგ გამოვლინდება 16 უძლიერესი მოთამაშე, ხოლო მათ შორის გათამაშდება ჯგუფური ტურნირი.

4. გამოვლინდება ტურნირის ჩემპიონი, რომელიც დაჯილდოვდება ფულადი პრიზითა და სიგელით ჩემპიონის წოდებით. ასევე დაწესებულია მეორე და მესამე ადგილები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

5. დაწესდება საკვალიფიკაციო რეიტინგი I ჯოისტიკი, II ჯოისტიკი, III ჯოისტიკი და ა.შ. მე-16 ჯოისტიკი.

6. საასპარეზო გუნდის არჩევა თავისუფალია. ჩემპიონატში მონაწილეობის დროს მონაწილეს შეუძლია ითამაშოს საკუთარი ჯოისტიკით, რაზედაც მან წინასწარ უნდა განაცხადოს.

7. ჩემპიონატის სიგელით დაჯილდოვდება 32 მონაწილე, რომლებიც მომავალ საქართველოს ჩემპიონატში აღარ მიიღებენ მონაწილეობას შესარჩევ ტურში და პირდაპირ ფინალურ ეტაპზე ჩაერთვებიან ჩემპიონატში.

8. საპრიზო ფონდისა და მისი განაწილების შესახებ ცნობილი გახდება ჩემპიონატის დაწყების პირველივე დღეს.

ტურნირის საფინალო ეტაპის დღეს განზრახულია სარეკლამო დაფების განლაგება. რეკლამის მსურველ ორგანიზაციებსა და ფირმებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ჭავჭავაძის №49 ა. სპორტის დეპარტამენტის შენობა IV სართული. საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია. ტელ 23-56-93 8(99) 15 48 97

ასევე ფირმებს შეუძლიათ წაახალისონ ჩვენი მონაწილეები და გაზარდონ საპრიზო ფონდი ან დააწესონ ფასიანი საჩუქრები. მათი მოლვაწეობისა და დახმარების შედეგები გამოქვეყნდება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

აქვე მადლობას ვუხდით სპორტის დეპარტამენტსა და სპორტის სასახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია

საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა მეორე ეტაპი

7 ტური

I–VI ადგილები

ზედა-ქვედას გასარკვევი

სამად-სამი ტური რჩება პირველი ლიგის დასრულებამდე და მიუხედავად წინა ტურში ლიდერთა გამარჯვებისა, ჯერაც არ არის ცნობილი იმ ორი იღბლიანის ვინაობა, მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში რომ აინაცვლებს. გაურკვეველია მესამეადგილოსანიც, რომელსაც დებულების თანახმად გადათამაშება ელის რჩეულთა დივიზიონის ქვედა ექვსეულის მეოთხეადგილოსანთან.

მეშვიდე ტური წაუგებელი აღმოჩნდა მასპინძელთათვის. სამიდან ორმა იმარჯვა. ლანჩხუთში „გურიამ“ რჩეულთა ლიგაში ანაცვლების საბოლოო შანსი მოუსპო ქობულეთის „შუქურას“. მასპინძლები პირველივე ტაიმში დააწინაურა ჩხეტიამ, 74-ე წუთზე კი პატარაიამ გაბუნიას შეცდომით ისარგებლა და ორამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა.

„გურია“ 35 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს, მაგრამ მიზნის მიღწევამდე ჯერაც საღვრელი აქვთ ოფლი ლანჩხუთელებს. კონკურენტთაგან განსხვავებით, დარჩენილ სამ მატჩში ყველაზე ცუდი კალენდარი სწორედ „გურიას“ აქვს, რადგან წყალტუბოსა და წნორში უწევს სტუმრობა.

„მილანს“ განვლილ ტურში საშინაო მატჩი ჰქონდა და, რაღა თქმა უნდა, გაიმარჯვა, თუმც კარგა ხანს ვერაფრით შეძლო „მეტალურგთა“ წინააღმდეგობის გატეხვა. ზესტაფონელები 57-ე წუთამდე გულმოდგინედ იცავდნენ თავს, მაგრამ მერე დაღლა დაეტყოთ. ქიზიყელთა ბომბარდირმა ტოკლიკიშვილმა ამ მატჩში დუბლი გაახერხა. სტუმრთა დიდი ანგარიშით დამარცხებას კი გოლეთიანმა ჩაუყარა საფუძველი. წნორელები მერვე ტურში ქობულეთს სტუმრობენ და წარმატების შემთხვევაში უმაღლეს ლიგას მიუახლოვდებიან.

კიდევ ერთ ფავორიტს, „სამგურალს“ გორში ბოლომდე ეომა „ცხინვალი“. წყალტუბოელებს ჰაერივით სჭირდებოდათ გამარჯვება, მაგრამ საქმე ისე აეწყო, ლამის უქულოდ დარჩნენ. „ცხინვალი“ მატჩის მსვლელობისას ორჯერ იკებდა, მაგრამ სტუმრები დარსაძის 82-ე წუთზე გატანილმა გოლმა გადაარჩინა.

ლიგის ქვედა ექვსეულში მხოლოდ ორი რამაა გადაწყვეტილი — „ხობს“ თავი ქუდში აქვს და მომავალ ჩემპიონატშიც პირველლიგელი იქნება, „ზუგდიდი“ რომ მოხსნილია გათამაშებიდან, აქამდეც ცნობილი იყო. „თორი“, „ოკეანე“, „თბილისი“ და „ივერია“ — ნაღდია, ამ ოთხიდან მეცამეტე ეროვნულ ჩემპიონატში ორი გუნდი რეგიონულ ლიგაში ითამაშებს. გასარკვევიც უიღბლოთა ვინაობაა.

პაატა კვანტალიანი

გურია	7	4	2	1	9:5	35
მილანი	7	4	1	2	13:4	34
სამგურალი	7	3	3	1	8:4	32
მეტალურგი	7	2	2	3	7:11	29
ცხინვალი	7	1	3	3	5:10	26
შუქურა	7	0	3	4	2:10	23

მერვე ტური

I–VI ადგილები

11 მაისი, პარასკევი

სამგურალი — გურია
შუქურა — მილანი
მეტალურგი — ცხინვალი

VII–XII ადგილები

12 მაისი, შაბათი

ხობი — ოკეანე
თორი — ზუგდიდი
ივერია — თბილისი

წნორი
5 მაისი
13 საათი
ქობული ანაბა
1 500 (ტევადობა 3 000)

მილანი 4:1 მეტალურგი

1:0 გოლეთიანი (57), 2:0 ტოკლიკიშვილი (67), 2:1 დ. ოდიკაძე (75), 3:1 ტოკლიკიშვილი (79), 4:1 მედოლი (90)

მილანი: გ. სომხიშვილი, ტარულაშვილი, ლუდუშაური, კობაიძე, ლეკიშვილი (ვარამაშვილი 26, სოსელია 71), მეტონიძე, გოლეთიანი, ჭყონია, ბარამიძე, მედოლი, ტოკლიკიშვილი (ტ. ჩიტაური 89)

სათადარიგონი: ძამუნაშვილი; მ. სომხიშვილი

მეტალურგი: თ. ოდიკაძე, გურეშიძე, პ. ლურსმანაშვილი, მაღლაკელიძე, ტეწაძე, კაციაშვილი, ლონღაძე, დ. ოდიკაძე, ფირცხალაიშვილი, გოგბაძე (მახათაძე 81), ფანცხავა (მემარნიშვილი 30, ჯანტრიშვილი 88)

სათადარიგონი: ნიკაბერიძე; ქანკვეტაძე

გაფრთხილება: გოლეთიანი (60)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); კ. თბილელი, ა. ნონიკაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (სამიგე თბილისი)

ლანჩხუთი
5 მაისი
13 საათი
ივერიელი შიგარჯანაძე
500 (ტევადობა 22 000)

გურია 2:0 შუქურა

1:0 ჩხეტია (21), 2:0 პატარაია (74)

გურია: დოლიძე, ორბელაძე, თ. გაბრიჭიძე, ძნელაძე, სულაკაძე, განევი, ქიქავა (კირკიტაძე 46), ჩხეტია (თ. ლორია 79), ენდელაძე, ვოსკანოვი, პატარაია (სამხარაძე 76)

სათადარიგონი: შეყრილაძე; ვასაძე, ფაცურია

შუქურა: გაბუნია (პერმანოვი 76), ოქროპირიძე, კოროტკოვი, ლომთათიძე, დიასამიძე, მესხიძე, კვირკველია, ჩახუნაშვილი, კაკალაძე, მოწყობილი (ჯინჭარაძე 51), ყალიჩავა

გაფრთხილება: ჩახუნაშვილი (31), კაკალაძე (44), ყალიჩავა (56)

მსაჯები: მ. მაისურაძე; ო. ხეცაძე (ორივე თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

გორი
5 მაისი
13 საათი
ძარული
1 000 (ტევადობა 2 000)

ცხინვალი 2:2 სამგურალი

1:0 ციცქიშვილი (18), 1:1 ქუთათელაძე (35), 2:1 თალაკვაძე (50), 2:2 დარსაძე (82)

ცხინვალი: ქესანაშვილი, ელისაშვილი, ყაჩლაგაშვილი, კობაური, მოსიაშვილი, არუთინიანი, თალაკვაძე (წიქარიძე 86), ციცქიშვილი (ჩაჩიბაია 80), მარღიშვილი, ნასუაშვილი, ზ. მაისურაძე (გუგულაშვილი 80)

სათადარიგონი: დ. მაისურაძე; მარგიევი, ბოჭორაძე

სამგურალი: ვარდანიძე, ბერაძე, ფრანგიშვილი, ჭელიძე, მ. ჯიბჭარაძე (კოპალიანი 46), დარსაძე, კიკვიძე (შ. ფუტკარაძე 60), თურმანიძე, ლონღაძე, კვერნაძე, ქუთათელაძე

სათადარიგონი: ბოდოკია; ფხაკაძე, ვადაჭკორია, დ. ჯიქია

გაფრთხილება: ფრანგიშვილი (65), კობაური (81), ნასუაშვილი (86)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

VII–XII ადგილები

თბილისი 0:2 ხობი

ოკეანე 1:0 თორი

ზუგდიდი 0:3 ივერია

„ზუგდიდი“ მოხსნილია ჩემპიონატიდან, „ივერიას“ ჩაეთვალა მოგება

ხობი	7	5	1	1	14:3	29
თორი	7	3	1	3	7:7	25
ოკეანე	7	3	3	1	9:7	22
თბილისი	7	4	0	3	7:6	21
ივერია	7	3	1	3	12:7	18
ზუგდიდი	7	0	0	7	0:19	12

სიტის აღსასრული

REUTERS იფსეიჩიდან

მარტინ როიზერის თავურმა „მანჩესტერ სიტი“ პირველ დივიზიონში გაისტუმრა

ინგლისი

XXXVII ტური

იფსვიჩი 2:1 მანჩესტერ სიტი

21 გოტერი (75), 11 ჰოლანდი (78), 21 როიზერი (85)

იფსვიჩი: რ. რაიტი, ბრემბლი, მაკგრილი, მაკინი, პრეიდარსონი (კლაბანი 63), როიზერი, მეჯილტონი, ჰოლანდი, სკოუკროფტი, ა. არმსტრონგი, ჯ. რაიტი (ნეილორი 71)

მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი

მანჩესტერ სიტი: ნეში, დანი, ჰაუი, გერნვილი, შარუე, გრანტი (გოტერი 46; პრიორი 77), ვიკერსი, ჯეფ უოტლი, ტიატო, ვანშოპე, დიკოვი (ანუედი 56)

მწვრთნელი: ჯო როილი

25 004 მაყურებელი

„ჩვენ დაებრუნდებით, გაისათვე“ — ასეთი იყო „მანჩესტერ სიტის“ კაპიტნის სტივ ჰაუის სიტყვები. იფსვიჩის „პორტმან როუდზე“ მორიგი დრამა გათამაშდა და კვლავ „სიტის“ მონაწილეობით. წინა სეზონებში დიდ სალიგო მოძრაობებში ჩართულმა „სიტიმ“ „ტრადიციას“ არ უღალატა და მოგზაურობა განაგრძო.

„სიტიმ“ 1:2 წააგო „იფსვიჩთან“ და ამით პრემიერლიგიდან გავარდნილი მესამე გუნდიც გაირკვა.

ამ მძიმე და არეულ თამაშში მთელს სამოცდათხუთმეტ წუთს ელოდნენ გოლს. „იფსვიჩი“ აწვდიდა და აწვდიდა კუთხურებს, „სიტის“ შეტევის მთავარი იმედი კი პაულო ვანჩოპე იყო. თამაში გამოცხადებულ უგოლო ფრეს ემსგავსებოდა, როცა ვანჩოპემ ოცდახუთი იარდიდან დაარტყა, მეკარე რიჩარდ რაიტმა ბურთი ცხვირწინ მოიგერია და შეცვლაზე შესულმა შონ გოტერმა ზუსტად დაარტყა კარში. შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე „სიტი“ დაწინაურდა და ამ გოლს ალბათ, ნირწამხდარნი შეეგებნენ „მიდლსბროს“ თავკაცები — „სიტი“ ბოლო ტურამდე დებდა მესამე უღლის საკითხს.

მაგრამ „სიტი“ ვერ დაშოშმინდა და შეხვედრა ათ წუთში წააგო. ჯო როილის გუნდი მხოლოდ სამ წუთს იგებდა. მერე იფსვიჩელთა კაპიტანმა ჰოლანდმა გაუტანა კარლო ნეშს, მოკლე ხანში კი გუნდის ლიდერმა მარტინ როიზერმა შეაგდო ლამაზი თავურით, ალან არმსტრონგის კროსს რომ მოჰყვა.

„ეს სიმპტომერია, ორივე გოლის შემთხვევაში ჩვენმა მცველებმა მოწინააღმდეგის თავდამსხმელები მიატოვეს — თქვა როილმა — ჯავრის და იმედგაცრუების საღამო გვიდგას“.

„სიტის“ ერთგული ფანების სამგლოვიარო სიმღერები კი გვაიმედებს, რომ „მეინ როუდის“ გუნდი დიდხანს არ დარჩება პირველ დივიზიონში.

„იფსვიჩი“ კვლავ ჩემპიონთა ლიგას უმიზნებს.

ირაკლი გამყრელიძე

ჩემპიონი: *მანჩესტერ იუნაიტედი*

ჩემპიონთა ლიგაში გადიან: *მანჩესტერ იუნაიტედი, არსენალი და სამიდან (ლივერპული, იფსვიჩი, ლიდსი) ერთი*

უეფას თასზე გადიან: *ხუთიდან (ლივერპული, იფსვიჩი, ლიდსი, ჩელსი, სანდერლენდი) სამი*

გავარდნენ: *ბრედფორდი, ქოვენთრი და მანჩესტერ სიტი*

მანჩესტერი	36	24	8	4	77:26	80
არსენალი	36	20	9	7	61:35	69
იფსვიჩი	37	20	5	12	56:41	65
ლივერპული	36	19	8	9	65:37	65
ლიდსი	36	18	8	10	55:41	62
ჩელსი	36	16	9	11	64:42	57
სანდერლენდი	37	15	11	11	44:39	56
ასტონ ვილა	37	13	15	9	46:40	54
ჩარლტონი	37	14	10	13	50:53	52
ლესტერი	37	14	6	17	38:48	48
ნიუკასლი	36	13	8	15	41:50	47
ტოტენჰემი	37	12	10	15	44:53	46
საუთჰემპტონი	36	12	10	14	35:45	46
ვესტ ჰემი	37	10	12	15	44:48	42
ევერტონი	37	11	8	18	43:57	41
დერბი ქაუნთი	37	10	11	16	36:58	41
მიდლსბრო	37	8	15	14	42:43	39
სიტი	*37*	*8*	*10*	*19*	*40:63*	*34*
ქოვენთრი	*37*	*8*	*9*	*20*	*36:63*	*33*
ბრედფორდი	*36*	*5*	*10*	*21*	*29:64*	*25*

პირველი დივიზიონი

საბოლოო ცხრილი

ფულემი	46	30	11	5	90:32	101
ბლეკბერნი	46	26	13	7	76:39	91
ბოლტონი	*46*	*24*	*15*	*7*	*76:45*	*87*
პრესტონი	*46*	*23*	*9*	*14*	*64:52*	*78*
ბირმინგემი	*46*	*23*	*9*	*14*	*59:48*	*78*
ვესტ ბრომვიჩი	*46*	*21*	*11*	*14*	*60:52*	*74*
ბარნლი	46	21	9	16	50:54	72
უიმბლდონი	46	17	18	11	71:50	69
უოტფორდი	46	20	9	17	76:67	69
შეფილდ იუნ.	46	19	11	16	52:49	68
ნოტინგემი	46	20	8	18	55:53	68
ვულვზი	46	14	13	19	45:48	55
ჯილინგემი	46	13	16	17	61:66	55
ქრიუ	46	15	10	21	47:62	55
ნორვიჩი	46	14	12	20	46:58	54
ბარნსლი	46	15	9	22	49:62	54
უენსდი	46	15	8	23	52:71	53
გრიმსბი	46	14	10	22	43:62	52
სტოკპორტი	46	11	18	17	58:65	51
პორტსმუთი	46	10	19	17	47:59	49
კრისტალ პალასი	46	12	13	21	57:70	49
ჰადერსფილდი	*46*	*11*	*15*	*20*	*48:57*	*48*
ქუინზ პარკი	*46*	*7*	*19*	*20*	*45:75*	*40*
ტრანმერი	*46*	*9*	*11*	*26*	*46:77*	*38*

პრემიერლიგაში ადიან: *ფულემი და ბლეკბერნი*

მესამე გადასასვლელი *საგზურისთვის იბრძვიან:* **ბოლტონი, პრესტონი, ბირმინგემი და ვესტ ბრომვიჩი**

პლეი ოფის განრიგი

13 მაისი: **ვესტ ბრომვიჩი — ბოლტონი; ბირმინგემი — პრესტონი**

17 მაისი: **ბოლტონი — ვესტ ბრომვიჩი; პრესტონი — ბირმინგემი**

ფინალი *28 მაისს კარდიფში*

გავარდნენ: *ტრანმერი, ქუინზ პარკ რეინჯერსი და ჰადერსფილდი*

მეორე დივიზიონი

საბოლოო ცხრილი

მილუოლი	46	28	9	9	89:38	93
როტერჰემი	46	27	10	9	79:55	91
რედინგი	*46*	*25*	*11*	*10*	*86:52*	*86*
უოლსოლი	*46*	*23*	*12*	*11*	*79:50*	*81*
სტოკი	*46*	*21*	*14*	*11*	*74:49*	*77*
უიგანი	*46*	*19*	*18*	*9*	*53:42*	*75*
ბორნმუთი	46	20	13	13	79:55	73
ნოთსი	46	19	12	15	62:66	69
ბრისტოლი	46	18	14	14	70:56	68
რექსჰემი	46	17	12	17	65:71	63
პორტვეილი	46	16	14	16	55:49	62
პიტერბრო	46	15	14	17	61:66	59
უიკომბი	46	15	14	17	46:53	59
ბრენტფორდი	46	14	17	15	56:70	59
ოლდჰემი	46	15	13	18	53:65	58
ბერი	46	16	10	20	45:59	58
კოლჩესტერი	46	15	12	19	55:59	57
ნორთჰემპტონი	46	15	12	19	46:59	57
კემბრიჯი	46	14	11	21	61:77	53
სუინდონი	46	13	13	20	47:65	52
როვერსი	*46*	*12*	*15*	*19*	*53:57*	*51*
ლუთონი	*46*	*9*	*13*	*24*	*52:80*	*40*
სუონსი	*46*	*8*	*13*	*25*	*47:73*	*37*
ოქსფორდი	*46*	*7*	*6*	*33*	*53:100*	*27*

პირველ დივიზიონში ადიან: *მილუოლი და როტერჰემი*

მესამე გადასასვლელი *საგზურისთვის იბრძვიან:* **რედინგი, უოლსოლი, სტოკ სიტი და უიგანი**

პლეი ოფის განრიგი

13 მაისი: **უიგანი — რედინგი; სტოკ სიტი — უოლსოლი**

17 მაისი: **რედინგი — უიგანი; უოლსოლი — სტოკ სიტი**

ფინალი *27 მაისს კარდიფში*

გავარდნენ: *ოქსფორდი, სუონსი, ლუთონი და ბრისტოლ როვერსი*

მესამე დივიზიონი

ბრაიტონი	46	28	8	10	73:35	92
კარდიფი	46	23	13	10	95:58	82
ჩესტერფილდი	46	25	14	7	79:42	80
ჰარტლპული	*46*	*21*	*14*	*11*	*71:54*	*77*
ლეიტონი	*46*	*20*	*15*	*11*	*59:51*	*75*
ჰალი	*46*	*19*	*17*	*10*	*47:39*	*74*
ბლეკპული	*46*	*22*	*6*	*18*	*74:58*	*72*
როჩდეილი	46	18	17	11	59:48	71
ჩელტენჰემი	46	18	14	14	59:52	68
სკანთორპი	46	18	11	17	62:52	65
საუთენდი	45	14	18	13	52:52	60
შენსფილდი	45	15	13	17	63:69	58
პლიმუთი	46	15	13	18	54:61	58
მაკლსფილდი	46	14	14	18	51:62	56
შრიუსბერი	46	15	10	21	49:65	55
კიდერმინსტერი	46	13	14	19	47:61	53
იორკი	46	13	13	20	42:63	52
ლინკოლნი	46	12	15	19	58:66	51
ექსეტერი	46	12	14	20	40:58	50
დარლინგტონი	46	12	13	21	44:56	49
ტორკი	46	12	13	21	52:77	49
კარლაილი	46	11	15	20	42:65	48
ჰალიფაქსი	46	12	11	23	54:68	47
ბარნეტი	*46*	*12*	*9*	*25*	*67:81*	*45*

„ჩესტერფილდს“ ჩამოკლებული აქვს 9 ქულა.

„საუთენდი“ — „მენსფილდი“ წუხელ გვიან გაიმართა.

მეორე დივიზიონში ადიან: *ბრაიტონი, კარდიფ სიტი და ჩესტერფილდი*

მეოთხე გადასასვლელი *საგზურისთვის იბრძვიან:* **ჰარტლპული, ლეიტონ ორიენტი, ჰალი და ბლეკპული**

პლეი-ოფის განრიგი

13 მაისი: **ბლეკპული — ჰარტლპული; ჰალი — ლეიტონ ორიენტი**

17 მაისი: **ჰარტლპული — ბლეკპული; ლეიტონ ორიენტი — ჰალი**

ფინალი *26 მაისს კარდიფში*

გავარდა: *ბარნეტი*

მის ნაცვლად კონფერენს ლიგიდან შემოვიდა რაშდენ ენდ დაიმონდსი

რუმინეთი

24-ე ტური: ნაციონალი — რაპიდი 2:1; ასტრა — სტიაუა 3:0; დინამო — ჩაპლაული 2:2; როკარი — პეტროლული 4:1; ბრაშოვი — ბაკეუ 2:0; უნივერსიტატია — ოცელული 3:1; ფორესტა — გაც მეტანი 0:0; გლორია — არჯეში 2:2

სტიაუა	24	13	7	4	39:26	46
არჯეში	24	11	7	6	33:30	40
დინამო	24	11	6	7	44:37	39
ბრაშოვი	24	11	4	9	26:22	37
რაპიდი	24	9	9	6	28:21	36
პეტროლული	24	11	3	10	31:28	36
გლორია	24	10	4	10	37:35	34
უნივერსიტატია	24	9	7	8	26:29	34
ასტრა	24	9	6	9	30:23	33
ოცელული	24	8	7	9	28:29	31
ნაციონალი	24	9	4	11	29:34	31
როკარი	24	9	4	11	35:41	31
ფორესტა	24	7	9	8	34:37	30
ჩაპლაული	24	7	9	8	30:34	30
ბაკეუ	24	6	5	13	28:39	23
გაც მეტანი	24	2	9	13	16:29	15

უნგრეთი

მეორე ეტაპი

მე-15 ტური: უიბეშტი — ჰონვედი 0:1; ზალაეგერსეგი — ვიდეოტონი 2:1; ტატაბანია — ვაშაში 1:4; დუნაფერი — შოპრონი 1:0; დიორ ეტო — დებრეცენი 2:2; მტკ — ფერენცვაროში 5:2

ფერენცვაროში	15	8	5	2	26:10	33
მტკ	15	7	4	4	21:11	31
ჰონვედი	15	9	3	3	26:17	31
დუნაფერი	15	8	1	6	21:24	30
ვაშაში	15	7	4	4	27:21	29
უიპეშტი	15	7	2	6	24:24	28
დიორ ეტო	15	6	5	4	18:16	25
ზალაეგერსეგი	15	5	5	5	20:20	21
შოპრონი	15	4	5	6	17:19	20
ვიდეოტონი	15	5	2	8	19:21	19
დებრეცენი	15	3	2	10	21:34	14
ტატაბანია	15	1	2	12	10:33	11

მეორე ეტაპზე ქულები განაახლეს

ლიტვა

მე-7 ტური: კაუნასი — ნევეჟისი 4:0; ატლანტასი — ეკრანასი 2:2; ფალეგირისი — საკალასი 2:1; ვეტრა — გელეჟინისი 0:1; ინკარასი — დაინავა 3:2

კაუნასი	7	7	0	0	19:2	21
ფალეგირისი	7	5	1	1	10:5	16
ეკრანასი	8	4	1	3	20:11	13
ატლანტასი	7	4	1	2	15:8	13
ინკარასი	7	3	1	3	10:10	10
გელეჟინისი	7	3	0	4	7:7	9
საკალასი	8	3	0	5	8:13	9
ნევეჟისი	7	2	2	3	6:9	8
ვეტრა	7	1	1	5	6:17	4
დაინავა	7	0	1	6	2:23	1

ამოფლეთილ ნომინაციას შესარჩევი შეჯამ

აზია

I ჯგუფი. III ტური

ომანი — ფილიპინები 7:0; სირია — ლაოსი 11:0

სირია	3	3	0	0	28:1	9
ომანი	3	3	0	0	26:0	9
ფილიპინები	3	0	0	3	1:24	0
ლაოსი	3	0	0	3	0:30	0

11 მაისი: ლაოსი — სირია; ფილიპინები — ომანი

VII ჯგუფი. VI ტური

თურქმენეთი 10 ტაივანი

10 კულოსგაზოვი (37)

თურქმენეთი: ნაბოიჩენკო, გოჩკულიევი, იგნატოვი, მერედოვი, დურდაფეი (მილერი 67), ვ. ბაირამოვი (მ. ბაირამოვი 80), ბერდიევი (აგაბაიევი 46), ა. ბოგოლუბოვი, მაგდიევი, კულიევი, ბორდოლიმოვი

200 მაყურებელი

იორდანია 11 უზბეკეთი

საბოლოო ცხრილი

უზბეკეთი	6	4	2	0	20:5	14
თურქმენეთი	6	4	0	2	12:7	12
იორდანია	6	2	2	2	14:7	8
ტაივანი	6	0	0	6	0:25	0

უზბეკეთის ნაკრები გავიდა მეორე ეტაპზე

IX ჯგუფი. VI ტური

მალდივეთი — ინდონეზია 0:2; კამბოჯა — ჩინეთი 0:4

ინდონეზია	4	4	0	0	15:0	12
ჩინეთი	3	3	0	0	15:1	9
მალდივეთი	6	1	1	4	8:19	4
კამბოჯა	5	0	1	4	1:19	1

13 მაისი: ჩინეთი — ინდონეზია

20 მაისი: ჩინეთი — კამბოჯა

27 მაისი: ინდონეზია — ჩინეთი

ავსტრია

33-ე ტური: რაპიდი — აუსტრია 2:0; ადმირა — ზალცბურგი 0:0; გრაცერი — ლინცერი 1:0; რიდი — შტურმი 1:3; ბრეგენცი — ტიროლი 1:0

ტიროლი	33	17	8	8	57:30	59
რაპიდი	33	15	10	8	59:35	55
შტურმი	33	16	6	11	57:40	54
აუსტრია	33	14	7	12	46:38	49
გრაცერი	33	13	9	11	44:39	48
ზალცბურგი	32	12	9	11	44:38	45
რიდი	33	12	8	13	47:48	44
ადმირა	33	8	10	15	29:61	34
ბრეგენცი	32	9	6	17	37:61	33
ლინცერი	33	7	9	17	37:67	30

ჩეხეთი

27-ე ტური: იაბლონეცი — სლავია 1:2; ჟიჟკოვი — დრნოვიცე 3:1; ბრნო — სინოტი 0:2; პრეიბრამი — ბლზენი 3:1; სიგმა — ბოჰემიანსი 1:0; ტეპლიცე — ლიბერეცი 0:0; სპარტა — ბანიკი 4:1; ბუდეიოვიცე — ბლშანი 1:1

სპარტა	27	20	4	3	66:26	64
სიგმა	27	13	9	5	46:31	48
პრეიბრამი	27	13	8	6	38:24	47
სლავია	27	12	10	5	41:28	46
ჟიჟკოვი	27	12	8	7	41:35	44
ტეპლიცე	27	12	4	11	42:31	40
ლიბერეცი	27	11	7	9	36:30	40
დრნოვიცე	27	9	8	10	31:33	35
სინოტი	27	8	9	10	34:33	33
ბოჰემიანსი	27	8	9	10	31:34	33
ბლშანი	27	8	9	10	27:30	33
იაბლონეცი	27	7	8	12	23:36	29
ბრნო	27	7	6	14	23:34	27
ბანიკი	27	6	8	13	26:44	26
ბუდეიოვიცე	27	6	8	13	32:52	26
პლზენი	27	3	7	17	24:60	16

პოლონეთი

24-ე ტური: სტომილი — ლეგია 2:1; ამიცა — რუხი 2:1; შლეიონსკი — ბლოკი 0:1; ჰოლონია — ზაგლებე 2:0; ოდრა — რადომსკოვი 2:2; გურნიკი — ვიძევი 0:2; პოგონი — გროცლინი 2:0; კატოვიცე — ვისლა 0:3

ვისლა	24	17	4	3	56:18	55
ლეგია	24	13	7	4	40:20	46
პოგონი	24	13	5	6	35:22	44
პოლონია	24	12	4	8	31:21	40
ამიცა	24	10	5	9	39:36	35
ზაგლებე	24	10	4	10	34:32	34
კატოვიცე	24	7	12	5	23:18	33
რუხი	24	9	5	10	36:36	32
გროცლინი	24	8	7	9	27:29	31
ვიძევი	24	8	5	11	30:37	29
რადომსკოვი	24	9	2	13	22:38	29
სტომილი	24	8	4	12	20:35	28
ოდრა	24	7	6	11	27:40	27
შლეიონსკი	24	7	5	12	23:32	26
გურნიკი	24	6	5	13	21:31	23
პლოცკი	24	6	4	14	24:43	22

დანია

27-ე ტური: ოლბორგი — აკადემისკი 4:1; ბიდერსლევი — ბრონდბიუ 0:4; ოდენსე — სილკებორგი 1:0; კოპენჰაგენი — ვიბორგი 1:0; ორჰუსი — მიდტიულანდი 2:0

ბრონდბიუ	27	14	6	7	63:34	48
კოპენჰაგენი	27	12	11	4	39:21	47
სილკებორგი	27	12	11	4	39:29	47
მიდტიულანდი	27	13	8	6	45:36	47
ვიბორგი	27	12	6	9	44:30	42
ოდენსე	27	11	5	11	40:35	38
ლიუნგბიუ	26	11	5	10	35:44	38
ოლბორგი	27	9	10	8	42:38	37
ორჰუსი	27	10	4	13	43:51	34
აკადემისკი	27	5	12	10	33:37	27
ჰერფიოლგე	26	5	8	13	30:49	23
ჰადერსლევი	27	1	6	20	25:73	9

შვედეთი

მე-5 ტური: ჰაკენი — მალმიო 2:1; იურგორდენი — იორგრიტე 0:0; ნორჩიოპინგი — სუნდსვალი 0:0; ჰამარბი — იორგბრო 3:0; გიოტებორგი — აიკ 1:0; ტრელებორგი — ჰალმსტადი 0:3

გიოტებორგი	5	2	2	0	7:3	11
მალმიო	5	3	1	1	9:2	10
იორგრიტე	5	2	3	0	8:4	9
ჰაკენი	4	3	0	1	5:3	9
ჰამარბი	5	2	2	1	8:5	8
ჰალმსტადი	5	2	1	2	10:5	7
აიკ	5	2	1	2	5:5	7
სუნდსვალი	5	2	1	2	4:5	7
ჰელსინგბორგი	4	2	0	2	5:3	6
ნორჩიოპინგი	5	1	2	2	2:6	5
ელფსბორგი	3	1	0	2	3:7	3
იურგორდენი	4	0	2	2	2:7	2
იორგბრო	3	0	1	2	3:8	1
ტრელებორგი	4	0	0	4	2:10	0

იტალია თავისუფალია
ნაკატარი იუვეს ჩიკილი

ჰიდეტოში ნაკატა

მას შემდეგ, რაც „სტადიო დელე ალპიზე“ „იუვენტუსმა“ „რომას“ ვერ მოუგო (2:2), გაისმა კატეგორიული განცხადებები: მორჩა, წლეულს იტალიის ჩემპიონი „რომაა“! რაღა დავმალოთ და ეს განცხადებები ძალიან ჰგავს სიმართლეს, რომელიც, როგორც ჩანს, თვით ტურინშიც კარგად უწყიან და ამიტომაც გაბრაზდნენ... სულ სხვა რამეზე.

სხვა რამე: გასულ პარასკევს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სასამართლომ გააუქმა უწინდელი კანონი, რომლის თანახმადაც ქვეყნის ჩემპიონატის შეხვედრაში ერთი გუნდის შემადგენლობაში, ერთბაშად სამ არაევროკავშირელ ფეხბურთელზე მეტის გაყვანა იკრძალებოდა. ამრიგად, ეგრეთწოდებული „სამი ფეხბურთელის წესი“ ზედ სერია A-ს 29-ე ტურის წინ გაუქმდა.

და ფაბიო კაპელომ „იუვენტუსს“ მოედანზე, არც მეტი, არც ნაკლები, ხუთი ევროპისგაღმელი აახლა, რომელთაგან ერთმა, იაპონელმა ჰიდეტოში ნაკატამ გოლიც გაუტანა. აი, ასე!

„რა თქმა უნდა, ახალი კანონი უდროოდ მიიღეს“ — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ ერთ-ერთმა შეფთაგანმა გვარად კიუსანომ — „ნუთუ ამის მოგონება მაინცდამაინც „იუვე“ — „რომას“ მატჩის წინ იყო აუცილებელი?“

მართლაც, იტალიური ფეხბურთის მთავარგამგებელს ბევრნი „აწვებოდნენ“ კანონს სეზონის ბოლომდე (ხუთი ტურია დარჩენილი) ხელს ნუ ახლებთო, მაგრამ საქმეში ხარ?

კიუსანომ განაგრძო: „არა, განა „რომას“ ვაბრალებ რამეს?! ამ გუნდმა მომენტი იგდო ხელთ და გამოიყენა. მე, უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ კანონი უდროო დროს შეცვალეს“.

იგივე აზრისაა იტალიელ ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტი, ფაქტობრივად, პროფკავშირთა ლიდერი სერჯო კამპანა: „რა თქმა უნდა, სეზონის ბოლომდე უნდა მოეცადათ. ახალი წესის მიღებით ხომ რამოდენიმე გუნდს ზედ ჩემპიონატის დამთავრების წინ ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს. ახლა, ზოგი ყველა უცხოელს ერთად ათამაშებს, ზოგს კი სამზე მეტი არ უყიდია, რადგან აქამდე არსებულ წესს ითვალისწინებდა“.

ამ ვნებათაღელვაში ძალიან საინტერესო, მაგრამ, ალბათ, უტოპიური წინადადება გაისმა მილანიდან. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კოლეგებს ასეთი რამ შესთავაზა:

„კარგი იქნება თუ სერია A-ს კლუბების წარმომადგენლები ამ კვირაში შევიკრიბებით და შევთანხმდებით, რომ ახალი კანონის მიუხედავად ძველებურად ვითამაშებთ, მოედანზე მხოლოდ სამ არაევროკავშირელს გავიყვანთ. ვფიქრობ, ეს ფეხბურთისთვის მხოლოდ კარგი იქნება. დღეისთვის საპასპორტო და ნანრრლონის სკანდალები ერთი ლიგისთვის სრულიად საკმარისია“.

ბეკენბაუერი სერბიაში იპოვეს


სოლ კემპბელი

კლუბს ახალი მფლობელი და ახალი მწვრთნელი ჰყავს. ჰოდა, რაღაა გასაკვირი, თუ ფირმა „ენიკი“ და გლენ ჰოდლი ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მუშტრები შეიქნებიან. „ტოტენჰემის“ მესვეურები არ მალავენ, რომ უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები ემანუელ პეტისთან და ხოსეპ გვარდიოლასთან, რომლებიც „ბარსელონას“ დატოვების სურვილი გამოთქვეს. ამასთანავე, ლონდონელები თითქმის ყოველდღე ეხმიანებიან ტედი შერინგეს, ვისაც საქმე ამოსარჩევად გახდომია: სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს აქეთ თავისი „მანჩესტერ იუნაიტედი“ სთავაზობს ახალ ერთწლიან და მილიონნახევრიან კონტრაქტს, იქით კი „ტოტენჰემის“ გარდა „მიდლსბრო“, „ლესტერი“, „ასტონ ვილა“, „ვესტ ჰემი“, „ჩარლტონი“ და პრემიერლიგაში დაბრუნებული „ფულემი“ ეპატიჟებიან. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ თუ 35 წლის ვეტერანი ფერგიუსონის გუნდიდან წასვლას გადაწყვეტს, ყველაზე რეალური მისი სწორედ „ტოტენჰემში“ დაბრუნება იქნება, მიუხედავად იმისა, რომ გლენ ჰოდლთან მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არ აქვს.

ამასობაში, სანამ ჩრდილოლონდონელები სხვებს ეჩალიჩებიან, საკუთარი მცველი და კაპიტანი სოლ კემპბელი ჰყავთ დასაბმელი. 26 წლის გამოცდილ ფეხბურთელს ივნისში კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდება, ამი'. დაშვება კი „ტოტენჰემისთვის“ დაღუპვის ტოლფასია — „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ დაწყებული და მიუნხენის „ბაიერნით“ დამთავრებული, ზანგ მცველზე ოცამდე კლუბია დაგეშილი. ამიტომაც გავრცელდა ხმები, რომ „მამლები“ კაპიტანს ახალ, ბრიტანეთისთვის სარეკორდო კონტრაქტს შესთავაზებენ — თუ ეს გარიგება შედგა, სოლ კემპბელი კუნძულზე პირველი ფეხბურთელი გახდება, ვინც კვირაში 100 ათას გირვანქას მიიღებს.

ეს ამბავი უახლოეს ორ კვირაში გაირკვევა, მანამდე კი „ტოტენჰემის“ აგენტი დენის როაჩი ბელგრადს ჩაფრინდა და იქაურ „ცრვენა ზვეზდასთან“ მოლაპარაკება გამართა. საქმე 28 წლის მცველ გორან ბუნიევჩევიჩს ეხება, რომელსაც სერბები 4 მილიონ გირვანქას აფასებენ და რომელიც ჰოდლმა იუგოსლავიისა და რუსეთის ამასწინანდელი შესარჩევი მატჩის დროს „აღმოაჩინა“. „მას სერბ ბეკენბაუერს უწოდებენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ვფიქრობ, გორანი სოლ კემპბელისთვის იდეალური პარტნიორი გახდება“ — ეიმედება გლენ ჰოდლს.

„მანჩესტერ იუნაიტედში“ კი ბრაიან მაკლეირის დაბრუნებას ელიან. ერთ დროს ამავე გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ბოლო ხანს „ბლეკბერნში“ მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, ახლა კი მანჩესტერში გადმობარგდა და გუშინწინ შორეულ სიდნეიშიც გაემგზავრა „იუნაიტედის“ ავსტრალიური აკადემიის გასახსნელად. როგორც ვარაუდობენ, მალე მაკლეირი ალექს ფერგიუსონის მარჯვენა ხელი გახდება (1985 წელს ის ფერგიუსონის პირველი მანჩესტერული შენაძენი გახლდათ), მერე კი...

თუმცა იქამდე, ანუ „იუნაიტედის“ და სერ ალექსის კონტრაქტის ამოწურვამდე, კიდევ ერთი წელია. ჯერჯერობით კი, თუ „უილიამ ჰილის“ ბუქმეიკერებს დავუჯერებთ, მანჩესტერელთა ახალ მწვრთნელად უმრავლესობას „სელტიკის“ ირლანდიელი თაკკაცი მარტინ ონილი ესახებათ (ფსონი 9-4), თუმცა შეგიძლიათ ფსონი დევიდ ბექქმის... მეუღლეზეც ჩახვიდეთ — ყოველ ერთ გირვანქაზე ათი ათასი დაგბრუნდებათ, თუ, ცხადია, მსოფლიოს უმდიდრეს კლუბში ყველა გაგიუდა და ვარსკვლავთა გაწვრნა ვიქტორია ადამს ანდეს.

გიგა ძოგაბაძე

ზღაპარი დევნა
იუგოსლავიელებს სამი თავი აქვთ მოსაჭრელი


ვუიადინ ბოშკოვი

იუგოსლავიური ფეხბურთის არცთუ ხანმოკლე კრიზისს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მილოვან ჯორიჩის გათავისუფლება მოჰყვა.

სამხრეთსლავები მისი თავკაცობით ერთობ უსაზურად ბურთაობდნენ და ფეხბურთის ფედერაციამაც, შესაძლოა, საკმაოდ ნაგვიანევად, ჯორიჩის ტალანტსა და ენერგიაზე უარი თქვა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ გახდება მისი მემკვიდრე და ვიდრე ეს საკითხი გაირკვეოდეს, ფედერაციამ ნაკრები ერთბაშად სამ ავტორიტეტს ჩააბარა. ყველასათვის ცნობილი ვუიადინ ბოშკოვი ნაკრების ყოფილი მწვრთნელია. კარგად ვვახსოვს მისი გუნდი 2000 წლის ევროპის ჩემპიონზე. მეორე კაცი, რომელიც ეროვნულ გუნდზე იზრუნებს, ცნობილი იუგოსლავიელი ფეხბურთელი, ვეტერანი დეიან სავიჩევიჩია. იგი ამჟამად ვენის „რაპიდში“ ირჯება. თავის დროზე „ცრცვენა ზვეზდასა“ და „მილანის“ რიგებში ჩემპიონთა თასის ტრიუმფატორიც ყოფილა. დუეტს, ცნობილი არ არის რა მიზეზით, ფედერაციამ თავისი კაცი, ივან ჩურკოვიჩიც დაუმატა.

ფეხბურთის ფედერაციამ, ალბათ, გადახედა ქვეყნის ეროვნული ნაკრების უიმედო მდგომარეობას და სასწაულის — იუგოსლავიის ნაკრების კორეა-იაპონიის მსოფლიოს ნაცვლად ჩემპიონატზე გასვლის, მოსახდენად ერთის ნაცვლად სამი კაცი გაამწესა. ამ ფაქტმა შეიძლება ევროპელი გააკვირვოს, ხოლო ჩვენთვის, მსგავსი რამ უცხო არაა. ქართველებს ორი გვყავს, მათ კი ერთბაშად სამი. მართალია, თავის დროზე, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, საბჭოეთის ნაკრებსაც სამი თავკაცი ჰყავდა, მაგრამ ისინიც არ წასულან შორს.

ფეხბურთის ისტორია გვეუბნება, რომ გუნდი მოედანზე თერთმეტი ფეხბურთელით გამოდის, რომელსაც ყველაზე კარგად ერთი კაცი, განსწავლული და ჭკვიანი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ყველა დიდი წარმატება, დიდი თამაში თერთმეტს პლუს ერთი (ზოგჯერ პირიქით) ტაქტიკის შედეგია და არა თერთმეტს პლუს ორი ან სამის. იუგოსლაველებს მაგალითიც ბლომად აქვთ, მაგრამ მაინც საკვირველად იქცევიან. თუმცა ვინ იცის, ეგებ ბოშკოვის გამოცდილების ეიმედებათ ან სავიჩევიჩის. ფიქრობენ, საფეხბურთო ოსტატობის დარად, მწვრთნელის ნიჭიც აქვს მომადლებულიო. ან იქნებ სულაც ფედერაციის კაცი, ივან ჩურკოვიჩია ის, ვინც იუგოსლავიელებს აღთქმულ ქვეყანაში, აზიის დასალიერ კორეა-იაპონიაში ჩაიყვანს.

სპარსული ტრაგედია

ორი დაილუპა და 287 კაცი დაშავდა — ასეთი შედეგით დასრულდა ირანის თასზე „ფირუზისა“ და „შამუშაკის“ შეხვედრა, რომელიც თეირანიდან 88 კილომეტრით დაშორებული ქალაქ სარის „მოტაქის“ სტადიონზე გაიმართა. დაჭრილთაგან ასზე მეტი ჯერაც საავადმყოფოშია, ხოლო ოთხი მათგანის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ტრაგედიის მიზეზი „ფირუზის“ ქომაგთა სტადიონზე უბილეთოდ შეჭრა გახდა. თამაშის დაწყებისას ხუთიათასიან „მოტაქიზე“ ოცი ათასი კაცი იმყოფებოდა. ორგანიზატორებს ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, რაკი ამ სტადიონზე ასეთი რამეები უცხო არ ყოფილა.

მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, როცა ტრიბუნამ სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩაინგრა. ირანის ტელევიზია მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას გადასცემდა და რეპორტაჟი დაუყოვნებლივ შეწყვიტა, თუმცა გადაღება განაგრძო და მოგვიანებით ტრაგედიის კადრებიც აჩვენა.

ირანის პრეზიდენტმა მოჰამედ ხატამიმ გამოძიების დაწყება ბრძანა. ეს ამბავი კი ამ უქმეებზე მოხდა.

ძველი სკანდალის ახალი მსხვერპლი
ფრანკ დე ბურის სისხლიც ნარინჯისფერია



შაბათს პრიმერადივიზიონში „ესპანიოლთან“ ვერმოგების შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ ნირწამხდარ ბარსელონელებს მათივე ექიმი მიუახლოვდა, ფრანკ დე ბური გამოარჩია და უთხრა: ფრანკ, შენმა ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენაო.

15 მარტს უეფას თასზე „სელტა“ — „ბარსელონას“ საპასუხო მეოთხედფინალური მატჩის დასრულებისთანავე რამდენიმე ფეხბურთელი დოპინგზე შეამოწმეს, მათ შორის ფრანკ დე ბურიც.

გუშინ ტყუპისცალმა ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე მიიწვია და წინადღით ჭორად მოარული ცნობა დაადასტურა.

მერე კი ჩვეულებრივი ლაპარაკი დაიწყო: „გაოგნებული ვარ. როცა ჩვენმა ექიმმა ეს ამბავი შემატყობინა, თავიდან ხუმრობა მეგონა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა. თუმცა ჩემს სისხლში ნანდროლონის აღმოჩენა ჩემგან დანაშაულის აღიარებას არ ნიშნავს. თავად ხომ ვიცი, რომ მართალი ვარ. მე, როგორც ნოდ სპორტსმენს, ერთი ღერი სიგარეტიც არ მომიწევია. არც ვიცი, რა ვიფიქრო, ან ლაბორატორიაში შეცდნენ ან ვიღაცამ...

იცით, რა მაკვირვებს, როგორც მითხრეს, ორი მილიგრამი ნანდროლონი უკვე საკმაოდ დიდი დოზაა, ჩემმა ანალიზმა კი 8,6 მილიგრამი აჩვენა. ამდენი როგორ უნდა მიმეღო“.

ფრანკ დე ბური ახლა განმეორებითი შემოწმებისთვის ემზადება, ხოლო „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს. სამაგიეროდ, ფეხბურთელები ირწმუნებიან, ფრანკისნაირი სპორტული სულის კაცი ბევრი არ არისო. ბუდეკინ ზენდენმა, დე ბურის სანაკრებო პარტნიორმაც, ეჭვით იკითხა, ძალიან მაინტერესებს, როდის და ვინ შეაპარა ფრანკს პრეპარატიო, თავდებად დავუდგები, რომ თვითონ არ იზამდაო.

ჰოლანდიის ნაკრები... ყველაზე პოპულარული ვერსიით სწორედ იქიდან იღებს სათავეს დოპინგის კვალი. 28 თებერვალს ჰოლანდია ამხანაგურად ეთამაშა თურქეთს. ოთხი დღის მერე ნანდროლონი ედგარ დავიდსს აღმოუჩინეს, თხუთმეტი დღის შემდეგ ფრანკ დე ბურს. ეჭვის საბაბი მართლაც არის, თუმცა ისიც საკითხავია, რა საჭირო იყო დოპინგის გამოყენება ამხანაგურ შეხვედრაში.

„ედგარს უკვე დავურეკე — ამბობს დე ბური — მოვილაპარაკეთ, რომ საქმეში გარკვევას შევეცდებით და ეგებ საკუთარი ძალებითაც ვიპოვოთ დამნაშავე, ვინც ეს სისაძაგლე შემოგვაპარა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ნანდროლონი მაინცდამაინც ნაკრებში შემოგვაპარეს, ეგებ კლუბშიც. ყოველ შემთხვევაში, მე და ედგარი ერთად ვიბრძოლებთ“.

გიორგი დარჯანია

შპრაინა

21-ე ტური: დინამო — მეტალურგი (დონეცკი) 2:0; დნიპრო — ცსკა 2:0; მეტალისტი — შახტარი 1:1; ტავრია — კარპატი 3:1; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — ვორსკლა 0:0; კრივბასი — სტალი 1:0; მეტალურგი (მარიუპოლი) — ნივა 5:1

დინამო	21	16	3	2	51:14	51
შახტარი	21	15	5	1	53:19	50
დნიპრო	21	14	4	3	30:14	46
მ. დონეცკი	21	9	9	3	25:18	36
ცსკა	21	8	8	5	27:20	32
მ. მარიუპოლი	21	8	4	9	29:26	28
ტავრია	21	6	9	6	20:23	27
კარპატი	21	8	2	11	30:35	26
მ. ზაპოროჟიე	21	6	8	7	24:27	26
კრივბასი	21	5	6	10	19:30	21
მეტალისტი	21	5	6	10	20:33	21
ვორსკლა	21	5	5	11	15:24	20
სტალი	21	2	4	15	14:42	10
ნივა	21	2	3	16	19:51	9

დღეს ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. მეორე მატჩი

ბაიერნი — რეალი (1:0)

მიუნხენი. «ოლიმპიაშტადიონი». 23.45 ჩვენი დროით

სავარაუდო შემადგენლობები

კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, იერემისი, სფორცა, ლიზარაზუ, სალიჰამიჯი, ელბერი, იანკერი

კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, იერო, ელგერა, მაკელელე, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, მორიენტესი

მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

ჰიცფელდის ტაქტიკა მარტივია: ერთი ან ორი გოლი რეალის კარში

REUTERS მიუნხენიდან

მიუნხენურ პრესკონფერენციაზე ლუშ ფიგუმ ღელვა არ დაიტყო

ჯოვანი ელბერმა 25 მეტრიდან შეუჩერებლივ დაარტყა ცაციათი, ბურთი ორჯერ შეეხო მინდორს, მეორედ ზედ კასილიასის წინ ასტა და ბადეში გაეხვა. ელბერმა ცაცია მუხლი დაიკოცნა, „ბაიერნმა" კი მადრიდში ამ გოლით მოუგო „რეალს". ეს ერთი კვირის წინ მოხდა, ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩში...

დღეს ესენი მიუნხენში, „ოლიმპიაშტადიონზე" შეხვდებიან. თუ „რეალმა" მოიგო, მაშინ ტურნირის არსებობის 46 წლიან ისტორიაში მეორე კლუბი გახდება, ვინც ნახევარფინალში შინ 0:1 დამარცხების შემდეგ მოახერხებს ფინალში გასვლას. დღემდე ასეთი რამ მხოლოდ ჰოლანდიურმა „აიაქსმა" შეძლო. 1996 წელს ამსტერდამში ბერძნულ „პანათინაიკოსთან" 0:1 წააგო, ათენში კი სამი უპასუხო გოლი გაიტანა. „აიაქსი" ფინალში გავიდა და იქ „იუვენტუსთან" პენალტებით დამარცხდა.

„ბაიერნის" მთავარი პრობლემა დისკვალიფიცირებული კაპიტნის, შტეფან ეფენბერგის არყოფნა იქნება. ალბათ, ვერ ითამაშებს მიუნხენელთა კიდევ ერთი ვარსკვლავი მეჰმეთ შოლიც, რომელსაც ტრავმა გაუმიზეზდა. თუმცა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი ამის გამო გულის წვეთებს სულაც არ სვამს და გუნდური სულისკვეთების იმედი აქვს: „ამ სეზონში რამდენჯერმე უეფენბერგოდ გავიმარჯვეთ. ახლა მთავარია ყველა მოთამაშე ბოლომდე დაიხარჯოს" — ამბობს ჰიცფელდი.

ჰიცფელდს გერმანული ჟურნალისტებიც ეთანხმებიან. მათ მიაჩნიათ, რომ ბავარიელთა დამრიგებლის უპირატესობა მისი ტაქტიკური შესაძლებლობებია. ბოლო დროს „მანჩესტერთან" მეოთხედფინალში და „რეალთან" პირველ მატჩში ჰიცფელდმა დაამტკიცა, რომ გონიერი სტრატეგია.

ეფენბერგის ადგილზე, ალბათ, შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცა ითამაშებს. მადრიდის გმირის, მეკარე ოლივერ კანის თქმით, ეფენბერგის არყოფნა იმ შემთხვევაში ექცეოდათ დიდ პრობლემად, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ვერ მოეგოთ. ახლა აუცილებლად გატანა არ გვჭირდება და უფრო მშვიდად ვითამაშებთო.

სხვა აზრისაა ჰიცფელდი. მას თავისი ფეხბურთელების ზედმეტი თავდაჯერება აფიქრებს და დაცვაში ჩადგომას არ აპირებს: „მხოლოდ დაცვაზე ფიქრი დიდი შეცდომა იქნება. ჩვენ ნათელი ტაქტიკა გვაქვს: ფინალში მოსახვედრად ერთი ან ორი გოლი უნდა გავიტანოთ" — აცხადებს ჰიცფელდი.

მასპინძელთაგან მცირე ტრავმები აწუხებთ მცველ სამუელ კუფურს, საყრდენ იენს იერემისსა და შემტევ პაულო სერჟოოს, თუმცა გუშინ ისინი გუნდთან ერთად ვარჯიშობდნენ და მინდორზეც, ალბათ თავიდანვე ვიხილავთ.

REUTERS მიუნხენიდან

ფერნანდო მორიენტესი

ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ბაიერნმა" ლევერკუზენში მოიგო ურთულესი მატჩი, დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „შალკესთან" ერთად ლიდერობს და ჩემპიონობის კარგი შანსიც აქვს.

„რეალის" მესვეურნი იმედს არ კარგავენ, რომ მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" ზედიზედ ხუთწაგებიან სერიას შეწყვეტენ.

„წინ საპასუხო მატჩია. გარწმუნებთ, ბოლო წამამდე არ დავნებდებით" — აი, ასეთი განწყობით გაიყვანს ვისენტე დელ ბოსკე თავის გუნდს მინდორზე.

„რეალი" ესპანეთის ჩემპიონატში რვაქულიანი მარაგით ლიდერობს. ამიტომ ბოლო ტურში თავი არ მოუკლავს და „სელტასთან" 0:3 წააგო. მადრიდელებმა ფერნანდო იეროსა და ლუშ ფიგუს გარეშე ითამაშეს, რაც მიუნხენური ბრძოლის წინ სავსებით ლოგიკურად ჩანს.

„რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ პირველ მატჩზე, შედეგს მაინც ვერ შევცვლით. ვიცი, მიუნხენში არ მოგვიგია, მაგრამ რეკორდებიც იმიტომ არსებობს და ოდესმე დავმხოს. ვფიქრობ, ეს ჩვენ ძალგვიძს" — ამბობს „რეალის" კაპიტანი იერო.

დელ ბოსკეს უმთავრესად ნახევარდაცვის მობილურობის იმედი აქვს, სადაც მაკმანამანის, ფიგუს, მაკელელესა და ელგერას გამწესებას აპირებს. და რა თქმა უნდა, მთავარი დამრტყმელი ძალა რაული, რომელსაც წლევანდელ ლიგაში ჯერჯერობით ყველაზე მეტი — 7 ბურთი აქვს გატანილი. შაბათს „სელტასთან" მატჩში მას კუნთი მსუბუქად დაეჭიმა და ორშაბათის ვარჯიში გამოტოვა. თუმცა თავად საბრძოლველადაა განწყობილი: „არა მგონია, ოთხშაბათს რაიმემ შემიშალოს ხელი. მით უმეტეს, ასეთი მნიშვნელოვანი თამაშია".

ვარაუდობენ, რომ თავდასხმაში რაულის მეწყვილე ახლახან მომჯობინებული ფერნანდო მორიენტესი იქნება. ეს ბიჭი ბოლო დროს ტრავმებმა მართლაც გააწამა, თუმცა გუშინ საერთო ჯგუფში ვარჯიშობდა და ცუდად სულაც არ გამოიყურებოდა.

სოლომონ გულისაშვილი

გერმანიის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი" ლევერკუზენის „ბაიერთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს და შესაძლოა, სეზონის ბოლოს ხორვატი მცველი რობერტ კოვაჩი გადაიბიროს. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი მხოლოდ გაისად უსრულდება, „ლევერკუზენს" კი არაერთხელ განუცხადებია, რომ მის გაშვებას არ აპირებს. გერმანული სააგენტოების ცნობით, ჩემპიონმა ვიცე-ჩემპიონს 26 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 7 მილიონი დოლარი შესთავაზა. ამ ტრანსფერში ალბათ დიდ როლს „ლევერკუზენის" ახალი მწვრთნელი ითამაგებს, რადგან ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ კლუბი ბერტი ფოგთსის გათავისუფლებას აპირებს.

იტალიური „ნაპოლის" მცველი ემანუელე ტროიზე სერია A-ს წინა ტურში დაშავდა და მომავალ შეხვედრას ქვეყნის ჩემპიონ „ლაციოს" წინააღმდეგ ალბათ გამოტოვებს. 22 წლის ფეხბურთელი „პარმასთან" შეხვედრაში იუგოსლაველ სავო მილოშევიჩს შეეჯახა და რთული ტრავმა მიიღო. ჯერჯერობით არ იციან, შეძლებს თუ არა ტროიზე ორი კვირის შემდეგ მინდორზე დაბრუნებას. „ნაპოლის" კი ახლა უჭირს. გუნდს სერია B-ში დაქვეითება ემუქრება. მწვრთნელმა ემილიანო მონდონიკომ განაცხადა, ტროიზეს არყოფნა გუნდისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისიაო.

გერმანულმა „ბოხუმმა" მეორე ბუნდესლიგის „ალემანიადან" ნახევარმცველი დიტმარ მერხტოლდი შეიძინა. 26 წლის გამთამაშებელმა კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და ბუნდესლიგელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი „ბოხუმში" ილდირიმ ბასტურკს შეცვლის, რომელიც სეზონის ბოლოს გუნდის დატოვებას აპირებს. მას სავარაუდოდ „ლევერკუზენი" იყიდის, „ბოხუმი" კი სანაცვლოდ 5 მილიონ დოლარს მიიღებს. ახალი სეზონიდან „ბოხუმში" კიდევ ერთი მოთამაშე ჩაირიცხება, ერთ-ერთი მეოთხედივიზიონური კლუბის ფორვარდი მალეკ ბარუდი. 19 წლის ფეხბურთელმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

არგენტინელი მეკარე ხერმან ბურგოსი „მალიორკას" დაახლოებით სამი კვირით დააკლდება. პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის შეხვედრაში „ოსასუნას" წინააღმდეგ მან მუხლის მყესები დაიზიანა. აღსანიშნავია, რომ „მალიორკას" კიდევ ორი მეკარე — კარლოს როა და ლეო ფრანკოც ტრავმირებულია, ამიტომ სანამ ისინი გამოჯანმრთელდებიან, ბალეარის კუნძულების გუნდში ახალგაზრდა გოლკიპერი მიკი გამოჩნდება.

ესპანელმა ნახევარმცველმა ხავი „ბარსელონასთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა. კატალონიური კლუბის საინტერნეტო გვერდზე მან განაცხადა, მოხარული ვარ, რომ „კამპ ნოუზე" დიდი ხნით დავრჩები. ჩემს შესაძლო ტრანსფერზე ბევრს საუბრობდნენ. ახლა ამ ჭორებს საბოლოოდ მოეღო ბოლო". შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „ბარსელონასთან" ახალ კონტრაქტს მცველმა კარლეს პუიოლმაც მოაწერა ხელი. ახლა კატალონიელები მცველ გაბრისთანაც აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

იტალიურ „იუვენტუსს" „პერუჯას" ნახევარმცველის ფაბიო ლივერანის შეძენა გადაუწყვეტია. იუწყებიან, რომ ტურინულმა კლუბმა ფეხბურთელთან პირობები უკვე შეათანხმა და ახლა მის კლუბთან აგვარებს საქმეებს. „პერუჯა" ლივერანის სანაცვლოდ 15 მილიონ დოლარს ითხოვს. ლივერანიმ ერთი თვის წინ იტალიის ნაკრებში ჩაატარა სადებიუტო მატჩი, „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ იგი სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში ათამაშა.

არგენტინელი ანხელ მარკოსი მომავალი სეზონიდან საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში აღზევებულ „ლორიანს" ჩაუდგება სათავეში. 58 წლის სპეციალისტი აქამდე „ნიორს" თავკაცობდა, ახალ კლუბთან კი ორწლიანი შეთანხმება გააფორმა. „ლორიანის" მწვრთნელი კრისტიან გურკუფი, რომელმაც კლუბიდან წასვლის შესახებ წინა კვირაში განაცხადა, სავარაუდოდ „რენის" ხელმძღვანელად დაინიშნება.

იუგოსლავია

28-უ ტური: სუტიესკა — პარტიზანი 3:4; ჩუკარიჩკი — ოფკ 2:4; ჟელეზნიკი — ბუდუჩნოსტი 4:0; რადი — ბაიდუკი 4:4; ზეტა — რადნიჩკი (ნიში) 1:0; ვოივოდინა — ზემუნი 0:0; მილიციონარი — სარტიდი 1:2; ცრვენა ზვეზდა — ობილიჩი 4:0; ნაპრედაკი — რადნიჩკი (კრაგუევაში) 3:5

ცრვენა ზვეზდა	28	22	4	2	71:16	70
პარტიზანი	28	23	1	4	76:26	70
ობილიჩი	28	16	5	7	43:30	53
სარტიდი	28	16	2	10	44:36	50
ოფკ	28	13	5	10	43:35	44
ვოივოდინა	28	10	8	10	37:28	38
ბაიდუკი	28	11	5	12	37:34	38
ჟელეზნიკი	28	10	7	11	40:44	37
ჩუკარიჩკი	28	11	2	15	32:40	35
ზემუნი	28	9	8	11	28:36	35
რ. კრაგუევაჩი	28	10	5	13	30:45	35
სუტიესკა	28	10	4	14	41:50	34
ზეტა	28	8	9	11	31:41	33
რადი	28	9	4	15	37:50	31
ბუდუჩნოსტი	28	8	5	15	20:35	29
ნაპრედაკი	28	6	9	13	30:46	27
რ. ნიში	28	7	5	16	22:47	26
მილიციონარი	28	7	4	17	25:42	25

ისრაელი

პლეი ოფი

35-უ ტური: ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (ჰაიფა) 1:0; მაკაბი (თელ ავივი) — ბეითარი 7:0; ირონი — ბნეი იეჰუდა 0:1; ამდოდი — ცაფრირიმი 1:0; ჰაპოელი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 3:1; მაკაბი (ნეთანია) — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 6:1

ზეიქვსეული

მ. ჰაიფა	35	23	10	2	65:23	79
ჰ. თელ ავივი	35	20	11	4	53:26	71
ჰ. ჰაიფა	35	18	11	6	54:33	65
ბეითარი	35	18	8	9	45:35	61
მ. თელ ავივი	35	16	11	8	65:31	59
ჰ. ფეთახ თიკვა	35	12	8	15	53:59	44

„ბეითარს" დაკლებული აქვს 1 ქულა

ქვეიქვსეული

მ. ნეთანია	35	12	8	15	53:53	44
მ. ფეთახ თიკვა	35	11	8	16	39:48	41
ამდოდი	35	9	8	18	37:49	35
ირონი	35	9	7	19	33:57	34
ბნეი იეჰუდა	35	7	9	19	35:59	30
ცაფრირიმი	*35*	*4*	*3*	*28*	*24:81*	*15*

ზეიქვსეული ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, ქვეიქვსეული — ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის

იყიდეთ!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1 წთ / 50 თეთრი)

ნონას პორტრეტი უცხოელის შესრულებით



ნონა გაფრინდაშვილის იუბილე არა მარტო ქართული საქმეა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს მთელი მსოფლიო იცნობს და აფასებს. ცნობილმა საერთაშორისო არბიტრმა ალექსანდრ გელერმა ამას წინათ გაფრინდაშვილს საგანგებო წერილი უძღვნა, რომელიც ცნობილ საჭადრაკო ვებ გვერდზე, „რუსჩეზზე“ გამოქვეყნდა. წერილს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ტაშკენტში, გუნდურ ტურნირზე გავიცანი, სადაც იგი „ბურევესტნიკის“ ღირსებას იცავდა. იმ მომენტში ძნელად იფიქრებდა ვინმე, რომ ორიოდ თვეში იგი ბრწყინვალედ მოიგებდა პრეტენდენტთა ტურნირს იუგოსლავიაში, თუმცა მე მაშინვე მივხვდი, რომ საბჭოთა ჭადრაკის ამომავალ ვარსკვლავს ვუყურებდი. ტაშკენტში სალაღობო ეპიზოდი მოხდა: ნორჩ თურქმენ მოჭადრაკეს გაფრინდაშვილმა მხედარში ლაზიერი მისცა და დიდი ჭაპანწყვეტით გამოგლიჯა გამარჯვება მეტოქეს. მეორე დღეს იგი შეცდომით განაწყენებული დიდხანს დადიოდა, მაგრამ მონახა გამოსავალი — დასვენების დღეს ქართული ცირკის წარმოდგენას დაესწრო და საბრძოლო სულისკვეთება აიმაღლა.

მერე, იუგოსლავიაში, დიდ-პატარა მხურვალედ ქომაგობდა მილუნკა ლაზარევიჩს და პარკიდან ის სკამიც კი აწაპნეს, რომელზეც ნონა პარტიის წინ ისვენებდა ხოლმე, მაგრამ ამ ფსიქოლოგიურმა შეტევებმა ვერაფერი შეცვალა. ნონამ ეფექტურად მოიგო და პრეტენდენტი გახდა.

მსოფლიოს პირველობის ფინალი გაფრინდაშვილსა და ელიზავეტა ბიკოვას შორის სუფთა ცალკარა იყო, ნორჩი პრეტენდენტის უპირატესობა — უეჭველი. მხოლოდ ერთ პარტიაში ჰქონდა ჩემპიონს უკეთესი შანსები, მაგრამ ამასაც თავისი მიზეზი გააჩნდა — იმ დღეს მოსკოვში თბილისის „დინამო“ თამაშობდა და ქართველი, საყვარელი გუნდის დიდი ქომაგი, თამაშის ბოლომდე პრესცენტრიდან არ გამოსულა, მერე კი უზრუნველად გააკეთა ყაიმი. შედეგი განსაცვიფრებელი: +7-0=4 და დაფნის გვირგვინი იქ გაემგზავრა, საიდანაც ჩვეულებრივ ჩემპიონთა შესამკობად ჩამოჰქონდათ.

ამიერკავკასიის ემოციური და ტემპერამენტიანი ხალხისთვის ნონას გამარჯვება ენით გამოუთქმელი ამბავი იყო. ნორჩი გოგონა უმალ რესპუბლიკის კერპად იქცა. მისი პორტრეტები მაღაზიის ვიტრინებში ეკიდა. მოწმე ვარ: ნონა რუსთაველის პროსპექტზე (თბილისის მთავარი მაგისტრალია) სეირნობდა და ტროლეიბუსი პარალელურად მოძრაობდა, რომ მგზავრებს იგი უკეთ დაენახათ. ერთხელ კიდევ საქართველოში ცნობილმა არქიტექტორმა კინოთეატრის დირექტორამდე მიაღწია და რომელიღაც ფილმის ბილეთი სთხოვა. უარი რომ მიიღო, უთხრა, ნონას კამპანიაში ვარო და აი, დირექტორის პასუხი: „თუ ნონას მოიყვანთ, ყველას გავყრი და ცალკე სეანსს მოგიწყობთ!“.

მთავარი, რაც ნონამ საქართველოსთვის გააკეთა, ისაა, რომ ქალთა საჭადრაკო ბუმს ჩაუყარა საფუძველი. ნაწვიმარზე სოკოებივით აღმოცენდნენ ახალგაზრდა ტალანტები და ბევრი მერე ცნობილი მოჭადრაკე გამოვიდა. ნონა თავისებური დროშა გახდა, რომლის ქვეშაც მომავალი ვარსკვლავები შეიკრიბნენ, მაგრამ ნონა ტერენტის ასულის ნაღვაწი მარტო საქართველოთი არ შემოფარგლულა. მან ქალთა ჭადრაკში თამაშის ახალი სტილი დანერგა, რაც ადრე თითქმის არ ყოფილა და ვაჟკაცური ჭადრაკი ჰქქვია. ეს იყო გამორჩეულად მამაცი ადამიანის თამაში, რომელსაც გართულებების, მწვავე საღებიუტო სქემებისა და თავსატეხი კომბინაციების არ ეშინია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეხუთე ჩემპიონის ამგვარი ხასიათი ბავშვობაში ჩამოყალიბდა. ნონა ერთადერთი გოგო იყო ოჯახში, ხუთი ძმა ჰყავდა და ადრეული წლებიდან მათთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა. როცა ნიჭიერ გოგონას ჭადრაკისკენ მიდრეკილება აღმოაჩნდა, მან თბილისის პიონერთა სასახლეში დაიწყო სიარული შესანიშნავ მწვრთნელ ვახტანგ ქარსელაძესთან, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. მერე ნონას კარგა ხანს ოსტატი მიხაილ შიშოვი ავარჯიშებდა.

მალე დადგა მსოფლიოს მეორე მოჭადრაკესთან, ალა კუშნირთან დიდი ბრძოლების ათწლედი. პირველი მატჩი რიგაში შედგა და ნონამ დამაჯერებლად მოიგო. მეორე განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან თბილისისა და მოსკოვის ეტაპებად დაყვეს. სამხრეთული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, ნონას თბილისში თამაშს დაჟინებით რომ ითხოვდნენ, შინაური კედლების საჭადრაკო სპეციფიკა ვერ გაითვალისწინეს. როგორც წესი, მათგან ხეირი არაფერია, ზიანის მოტანა კი შეუძლიათ. ასე მოხდა თბილისშიც: ნონა ნერვიულობდა და 4 პარტიის შემდეგ 1,5:2,5 ჩამორჩა. საქართველოში განსაცვიფრებელი ამბები ხდებოდა. არავის სჯეროდა, რომ გაფრინდაშვილი მატჩს მოიგებდა. ჩემი მეგობარი, ცნობილი ქართველი ჟურნალისტი გივი გამრეკელი მიამბობდა, თბილისის უნივერსიტეტში საჭადრაკო საღამოზე გამოვდიოდი და აუდიტორიამ მხოლოდ ერთი ტიპის კითხვებით დამხუნძლაო: „მოიგებს თუ არა გაფრინდაშვილი?“ ბოლს ვერ მოვითმინე და ვუთხარი: „რას ნერვიულობთ, მოიგებს, აბა, რას იზამს“. ეს იყო და დარბაზი სიცილად იქცაო, იგონებს გამრეკელი.

ჩემპიონმა უკვე თბილისში მოახერხა მობილიზება და წინ გავიდა. მატჩის მოსკოვის ნახევარი უკვე ფორმალობა იყო. მესამე მატჩი კი ყველაზე დაძაბული გამოდგა, მაგრამ იქაც გაფრინდაშვილი სრულად აკონტროლებდა სიტუაციას.

ბოლოს ნონამ ნანა ალექსანდრიას მოუგო. ამ დროისთვის საქართველოში პარფიუმერიის ქარხანამ უკვე გამოუშვა სუნამოები „ნონა“ და „ნანა“. რომ იტყვიან, იცანით ჩვენები! გამარჯვება კი ჩემპიონს არ გაძნელებია და ისე ჩანდა, რომ მომავალშიც კარგა ხანს არ ექნებოდა პრობლემები, მაგრამ კიდევ ერთი ტალანტი გამოჩნდა — მაია ჩიბურდანიძე, გაფრინდაშვილზე 20 წლით უმცროსი და, ალბათ, სწორედ ასაკმა გადაწყვიტა მათი მატჩის ბედი 1978 წელს. ფინიშზე ჩემპიონს ნერვებმა უმტყუნა და მან წააგო.

ნონა პირველი დიდოსტატი გახდა ქალებში და მერე ვაჟებშიც. მისი თამაშის დონე იმდენად მაღალი იყო, რომ როცა ერთხელ გერმანელი სერვატი დაამარცხა, დორტმუნდის პრესამ სერვატი ქალად გაასაღა. მათი აზრით, არ შეიძლებოდა ქალს კაცისთვის ასე მოეგო. 1965 წელს ჰასტინგსში ნონამ დიდოსტატ ჰართსონს მოუგო და ტელეჟურნალისტებს ეს სიუჟეტი ისე მოეწონათ, ჰართსონს დანებების სცენა გაამეორებინეს.

და მთავარი: თუმც ნონა ტერენტის ასულმა დიდების ბილიკებით იარა, თავმდაბლობა და სიკეთე არ დაუკარგავს. ამიტომაც გვიყვარს და იუბილეს დღეებში მისი ნიჭის ყველა თაყვანისმცემელი, ამ სტრიქონების ავტორის ჩათვლით, მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონს ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და წელთა სიმრავლეს უსურვებს.

ალექსანდრ გელერი
საერთაშორისო არბიტრი

NHL. სტენლის თასი — მეორე წრე (ორსა ოთხეულად)

ათამაშებული სამეული

7 მაისი

აღმოსავლეთი	
ტორონტო	3
ნიუ ჯერსი	3

ტორონტო 2:4 ნიუ ჯერსი (0:1 1:2 1:1)

0:1 სიკორა 5 (4), 1:1 ტომასი 26 (ნ), 1:2 მაჯი 36 (ნ), 1:3 რაფალსკი 40 (4), 2:3 სუნდინი 43 (6), 2:4 არნოტი 46 (3)

დიდი ცოდვა იქნებოდა, სერია რომ დასრულებულიყო. ტორონტო ნამდვილად არ სჯობდა ნიუ ჯერსის ისე (თუ სჯობდა საერთოდ), რომ ექვს თამაშში მოეგო ორთაბრძოლა. თუნდაც წინა მატჩი ავიღოთ. იქ პირველი 30 წუთი ტორონტომ ითამაშა უკეთესად, მეორე ნახევარში კი — ნიუ ჯერსიმ. ტომას კაბერლეს გადამწყვეტი შაიბა ბოლო წამებზე ერთობ ალოგიკური იყო. თანაც ცოტა არ იყოს, წესების დარღვევითაც გავიდა — შეინ კორსონი, მართალია, მეტოქეთა დახმარებით, მეკარე მარტინ ბროდოს-შეეჯახა და იგი თამაშიდან გამოთიშა. თუმც იმ მარცხს ერთი დადებითი შედეგი მაინც მოჰყვა, როგორც იქნა, ათამაშდა მათი პირველი, ელიაშ-არნოტ-სიკორას სამეული. ამჯერადაც მასპინძლებმა ვერაფერი იღონეს მის წინააღმდეგ. ტრიომ, წინა თამაშის დარად, კვლავ ორი შაიბა შეაგდო, ხოლო დანარჩენი ორი მათ წინააღმდეგ წესების დარღვევის შემდეგ გავიდა. სწორედ ამ ორმა გოლმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. მეორე პერიოდის ბოლოს ჯერ რენდი მაკეიმ გაიტანა, კარს უკნიდან მიწოდებული შაიბა უმალ ზედა კუთხეში გადაგზავნა და კერტის ჯოზეფმა რეაგირება ვერ მოასწრო, ხოლო როდესაც პერიოდის დასრულებამდე 7 წამი რჩებოდა, ნიუჯერსელთა მეორე ხაზმა (აი, სად ჩანს, თუ რომელი გუნდია უფრო დაბალანსებული) ჩინებული კომბინაცია გაითამაშა და მცველ ბრაიან რაფალსკის ხელი ველარავინ შეუშალა.

თავის მხრივ ტორონტოსაც ჰქონდა თამაშში გარდატეხის შეტანის შანსი. პირველად ეს მეორე პერიოდის პირველ ნახევარში მოხდა, როდესაც ნიუ ჯერსი ზედიზედ სამჯერ დარჩა უმცრესობაში, თანაც ორი გაძევება სათამაშო სიტუაციით სულაც არ იყო განპირობებული, უდისციპლინობას მოჰყვა. მასპინძლებმა პირველი რიცხვმრავლობა გამოიყენეს, სერიაში მეხუთედ გამოირჩა სტივ ტომასი, თუმც არც გერი რობერტსის პასი უნდა დავივიწყოთ. ამის შემდეგ კანადელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მომდევნო ორ რიცხვმრავლობაშიც შეეძლოთ გაეტანათ, მაგრამ ნიუ ჯერსიმ გაუძლო და მეტწილად არნოტის ტრიოს ძალისხმევით გაათანაბრა თამაში. მეორე მომენტი ბოლო მესამედში იყო, როცა კოლინ უაიტი დარსი ტაკერის პროვოკაციას აჰყვა და მასპინძელთა პირველმა სამეულმა, კერძოდ მათს სუნდინმა, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. დაძაბულობა კვლავ არნოტის ტრიომ განმუხტა. ელიაშის ჩინებული გარღვევის შემდეგ შაიბა არნოტმა მიიღო და მან ჯოზეფს შანსი არ დაუტოვა, ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

მატჩის შემდეგ ნიუჯერსელთა თავკაცი ლარი რობინსონი, ცხადია, კმაყოფილი იყო, მაგრამ შეგირდების თავშეუკავებლობა მაინც აღნიშნა. „ექვსი ჯარიმიდან ოთხი ჩვენი სისულელის ბრალი იყო“ — თქვა წარსულში სახელოვანმა მცველმა, რომელმაც ზემოხსენებული უაიტი იმ ეპიზოდის შემდეგ სკამზე დასვა. ნიუჯერსელები ტაი დომის საქციელის შემდეგ მაინც ვერ ისვენებდნენ ბოლომდე და ზოგჯერ ემოციების მოთოკვა უჭირდათ. ბოლო წამებზე რენდი მაკეი სულ ტყუილად წაეკიდა ჯოზეფს, რასაც მასობრივი ჩხუბი მოჰყვა.

სამეულ ლარიბიანი

რენდი მაკეი ტორონტოელთა მეკარე კერტის ჯოზეფს წაეკიდა

REUTERS ტორონტოდან

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

11 მაისს 9 საათზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ დაიწყება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სპორტის ხელმძღვანელთა სემინარი, რომელიც ეძღვნება ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების და მასში მონაწილეობის საკითხებს. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი მწვრთნელები, სპორტული მედიცინისა და სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტები.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით. დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე-19 კორპუსი, პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

ტელ:
397 198.
959 032.
8 77 428283

NBA. პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

მოშუშებული ჭრილობა



REUTERS სან ანტონიოდან

მაიკლ ფინლი (მარცხნივ) და სტივ ნეში
სანანტონიოელ ტიმ დანკანს ბურთთან არ უშვებენ

დასავლეთი

7 მაისი

სან ანტონიო	**2**
დალასი	**0**

სან ანტონიო 100:86 დალასი

სან ანტონიო: დანკანი (25 ქულა, 22 მოხსნა, 6 პასი), რობინსონი (18), პორტერი (16 ქულა, 9 პასი)

დალასი: ფინლი (24), ნოვიცკი (19), ეილსი (12)

სანანტონიოელებს ამ ბოლო დღეების განმავლობაში წუთითაც არ დავიწყებიათ ის, რაც შაბათს შეემთხვათ და კიდევ კარგა ხანს არ დაავიწყდებათ, მაგრამ დადარდიანებულნი ორშაბათს „დალასთან“ მეორე მატჩის შემდეგ საგრძნობლად გახალისდნენ. ხუთ მაისს „დალასთან“ პირველ შეხვედრაში სერიოზულად დაშავებული დერიკ ანდერსონის შემცვლელმა ანტონიო დანიელსმა ივარგა და სანანტონიელებს საუკეთესო უკანასკნელის დაკარგვით გამოწვეული შეშფოთება გაუქარწყლა. დანიელსს ანდერსონამდე ბევრი უკლია, მაგრამ თუ იგი ყოველ თამაშში ასე გაირჯება, მის თანაგუნდელებსა და „სფურზის“ ქომაგებს შეუძლიათ, დამშვიდდნენ. ბევრიც არაფერი, დანიელსმა უბრალოდ კარგად ითამაშა. ნომინალურმა გამთამაშებელმა, ახლა კი მსროლელად გამწესებულმა 12 ქულა და ხუთი პასი მიითვალა და დაცვაშიც არა უშავდა. მართალია, მისმა სამეურვეო სუბიექტმა, „დალასის“ ლიდერმა მაიკლ ფინლიმ 24 ქულა გააკეთა, მაგრამ დანიელსის გადამკიდემ თამაშიდან სროლების ორი მესამედი გააფუჭა, 24 სროლიდან მხოლოდ რვა ჩააგდო, დანიელსმა კი ნამატჩევს დამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო.

საერთოდ, ამ თამაშს ფონად გასდევდა ანდერსონის არყოფნა. გარდა იმისა, რომ მისი შემცვლელი დანიელსი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, მასპინძელთა გადაჭედილი დარბაზი მთელი საღამოს განმავლობაში ერთსულოვნად უსტვენდა დალასელ ჯუონ ჰოვარდს, რომელიც შაბათს ანდერსონს ეუხეშა და მხარი ამოუგდო. მას ყოველთვის აგინებდნენ, როგორც კი ბურთს მიიღებდა. ჰოვარდს არც მეტოქეები აკლებდნენ ხელს, ხისტად ეთამაშებოდნენ, პირველი ტაიმის მიწურულს კი დენი ფერიმ (10 ქულა) ერთობ უხეშად ჩაარტყა ხელში, რისთვისაც განზრახ ჯარიმა დაიმსახურა. მსაჯთა ამ გადაწყვეტილებამ აღაშფოთა „სფურზის“ თავკაცი გრეგ პოპოვიჩი და ამ ღირსეულმა კაცმა არბიტრებთან იმდენი იკამათა, რომ ორ ტექნიკურსა და თამაშიდან გაძევებას გამოჰკრა ხელი. რაც შეეხება ჰოვარდს, მას სხვა რა გზა ჰქონდა, მოთმინებით იტანდა ყოველივეს. გალანძღულსა და შეურაცხყოფილს არც სროლები წაუვიდა — 14-დან 12 ააცილა. და საერთოდ, „დალასმა“ იმ თამაშში სროლების 34 პროცენტი ჩააგდო, ასეთი თამაშით კი „სან ანტონიოს“ ვერ მოუგებ.

უჩვეულო გაშმაგებით იბრძოდა „სან ანტონიოც“. „ანდერსონი ჩვენი ჭრილობაა. ჩვენც დაჭრილი მხეცივით ვიბრძოდით და ვცდილობდით, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მოწინააღმდეგე წაგვექცია“ — ამბობდა მატჩის შემდეგ „სფურზის“ მხცოვანი ცენტრი დევიდ რობინსონი, რომელიც თავის მეწყვილე ტიმ დანკანთან ერთად საკუთარ კალათს, როგორც კრუხი წიწილებს, ისე გადაეფარა. ჩვეულებრივ მშვიდი „ადმირალი“ იმ დღეს ერთობ აგრესიულად ირჯებოდა დაცვაში, ტიმ დანკანი ხომ ფარქვეშეთში სრულად გაბატონდა და „სან ანტონიო“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას. მასპინძლებს მხოლოდ მაშინ გაუჭირდათ, როდესაც ფერი ჰოვარდს ეუხეშა და მასპინძელთა მწვრთნელი პოპოვიჩი გააძევეს. ტექნიკურისთვის კუთვნილი ორი საჯარიმო სროლა კარგად გამოიყენა დალასელმა დირკ ნოვიცკიმ, ჰოვარდმაც ჩააგდო ორი საჯარიმო და სტუმრები პირველად დაწინაურდნენ — 35:33.

მასპინძლებმა მალევე დაიბრუნეს უპირატესობა. მესამე მეოთხედში დანიელსმა იაქტიურა, შვიდი ქულა მიითვალა და ერთი მონაკვეთი თავისიანებს 18:4 მოაგებინა. მესამე თორმეტწუთიანის მიწურულს „სფურზი“ 68:51 დაწინაურდა და დარჩენილ დროში რვა ქულაზე ახლოს აღარ მიუშვა მეტოქე.

ირაკლი ფირაზვილი

სამაგალითონი: მოქალაქე და სპორტსმენი



დიკემბე მუტომბო



დევიდ რობინსონი

ერთვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მრავალი პრიზი არსებობს, რომელთა უმრავლესობას რეგულარული სეზონის დამთავრებიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ გადასცემენ ხოლმე შესაბამის ნომინაციაში გამარჯვებულს. ამ უქმეებზე კიდევ ორ ჯილდოს გამოუჩნდა პატრონი. მოქალაქის პრიზი „ფილადელფია სიქსერზის“ კონგოელ ცენტრ დიკემბე მუტომბოს ერგო, წლის სპორტსმენად კი ასევე ცენტრი, სანანტონიოელი დევიდ რობინსონი აღიარეს. განმარტებისთვის: მოქალაქის პრიზს წლის ყველაზე ქველმოქმედ მოთამაშეს აკუთვნებენ, წლის სპორტსმენობას კი — ყველაზე ზრდილ და ღირსეულ პიროვნებას.

მართალია, დიკემბე მუტომბო ოფიციალურად პირველად გახდა წლის მოქალაქე, მაგრამ არსებითად იგი ამ პრიზს ყოველ წელიწადს იმსახურებდა. მას შემდეგ, რაც ღარიბმა კონგოელმა (ამ ქვეყანას უწინ ზაირი ერქვა) ნაბ-ში ფეხი შეაბიჯა და მილიონების ხვეჭა დაიწყო, სხვა, უცებ გამდიდრებული ზანგი ბიჭებისგან განსხვავებით, არ გაზულუქებულა. იგი ხელფასითა და რეკლამებით ნაშოვნ მილიონებს თავის ქვეყანაში აბანდებს და სანაცვლოდ თვისტომთა უდიდეს სიყვარულს იმკის. მუტომბომ შექმნა ფონდი და ეხმარება უპატრონო და შემწეობას მოკლებულ ბავშვებს, ღარიბთა სკოლებს ინვენტარით ამარაგებს, კონგოს დედაქალაქ კინშასას ლამის ყველა სამედიცინო დაწესებულებას, საავადმყოფოსა და პოლიკლინიკასაც მისით უდგას სული. მუტომბომ ქვეყნის სამასი საავადმყოფოს აღსაჭურვად საკუთარი ჯიბიდან გაიღო სამი მილიონი დოლარი და თან პირადად ადევნებს თვალ-ყურს, ეს ფული ვინმე თაღლითის ხელში არ მოხვდეს. თავისუფალ დროს კონგოელი ყოველთვის ჩაღის სამშობლოში და ხშირად სტუმრობს საავადმყოფოებსა და ბავშვთა სახლებს.

წლის სპორტსმენის ჯილდო ყოფილი დეტროიტელი „ცუდი ბიჭის“, ჯო დუმარსის სახელობისაა, რომელიც წესიერების განსახიერება გახლდათ და ამ პრიზს 1996 წლიდან მისი სახელიც ამიტომ უწოდეს. ოკეანგაღმა კი ამბობენ, დუმარსი რომ არა, ეს ჯილდო უცილობლად დევიდ რობინსონის სახელობისა იქნებოდაო. ასე რომ, არც არავის გაჰკვირვებია, წლის სპორტსმენი სწორედ „ადმირალი“ რომ გახდა.

ივანე კობიაშვილი



TELEBASKET

სკავოლინი — მონტეკატინი.
სკავოლინელი დემარკო ჯონსონის მორიგი სროლა

იტალია

XXXIV ტური

ადეკო — სიენა 92:94, მიულერი — კინდერი 76:87, იმოლა — რეჯანა 81:86, ბენეტონი — ტრიესტი 99:79, სკავოლინი — მონტეკატინი 82:77, აველინო — აეროპორტი 86:73, კორდივარი — ვარეზე 93:72, ფორტიტუდო — რიმინი 88:75, კანტუ — სნაიდერო 79:81

კინდერი	34	29	5	3018:2551	63
სკავოლინი	34	25	9	2969:2736	59
ფორტიტუდო	34	24	10	2750:2484	58
აეროპორტი	34	24	10	2818:2686	58
ბენეტონი	34	24	10	2964:2738	58
სიენა	34	19	15	2810:2714	53
სნაიდერო	34	16	18	2829:2845	50
კორდივარი	34	16	18	2791:2788	50
მიულერი	34	15	19	3056:3123	49
აველინო	34	15	19	2807:2881	49
რეჯანა	34	13	21	2939:3035	47
ტრიესტი	34	13	21	2683:2792	47
მონტეკატინი	34	13	21	2806:2946	47
ვარეზე	34	13	21	3020:3210	47
ადეკო	34	13	21	2870:3085	47
კანტუ	34	12	22	2656:2812	46
იმოლა	34	11	23	2894:3102	45
რიმინი	34	11	23	2914:3086	45

პლეი ოფი

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

კინდერი — კორდივარი
სკავოლინი — სნაიდერო
ფორტიტუდო — სიენა
აეროპორტი — ბენეტონი

მერვედფინალი დაიწყება 16 მაისს

ესპანეთი

XXXII ტური

ორენსე — ონა 103:102, კასერესი — ბარსელონა 84:90, ხუვენტუდი — ფორუმი 80:74, ხიხონი — ესტუდიანტესი 84:87, კახა სან ფერნანდო — ბრეიგანი 78:86, რეალი — კოსტაბლანკა 98:93, კანტაბრია — პამესა 61:64, უნიკახა — ტაუ 74:82, ფუენლაბრადა — კანარიასი 90:79

ბარსელონა	32	27	5	2855:2461	59
ტაუ	32	26	6	2721:2290	58
რეალი	32	26	6	2626:2354	58
უნიკახა	32	25	7	2705:2451	57
პამესა	32	21	11	2598:2513	53
ფუენლაბრადა	32	19	13	2592:2542	51
ესტუდიანტესი	32	19	13	2593:2593	51
ფორუმი	32	16	16	2607:2513	48
ხიხონა	32	15	17	2584:2622	47
კასერესი	32	13	19	2487:2768	45
ბრეიგანი	32	12	20	2518:2585	44
სან ფერნანდო	32	12	20	2438:2502	44
კანარიასი	32	11	21	2427:2646	43
ხუვენტუდი	32	11	21	2551:2654	43
ხიხონი	32	10	22	2474:2647	42
კანტაბრია	32	9	23	2280:2637	41
კოსტაბლანკა	32	8	24	2394:2675	40
ორენსე	32	8	24	2464:2771	40

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

საბერძნეთი

XXIV ტური

ოლიმპიაკოსი — არისი 113:84, მაკედონიკოსი — პანიონიოსი 66:65, მილონი — პანათინაიკოსი 89:98, აეკ — პაოკ 86:79, ნიარ ისტი — მარუსი 79:68, ირაკლისი — დაფნი 76:84, პერისტერი — ირაკლიონი 89:57

პანათინაიკოსი	24	21	3	2044:1726	45
პერისტერი	24	20	4	1953:1710	44
ოლიმპიაკოსი	24	20	4	2020:1793	44
აეკ	24	19	5	2023:1786	43
პანიონიოსი	24	14	10	2046:1885	38
ირაკლისი	24	14	10	1975:1977	38
პაოკ	24	12	12	1807:1854	36
მარუსი	24	11	13	2065:2019	35
ნიარ ისტი	24	8	16	1870:2004	32
ირაკლიონი	24	8	16	1954:2082	32
დაფნი	24	8	16	1904:1988	32
არისი	24	7	17	1825:2038	31
მილონი	24	4	20	1918:2242	28
მაკედონიკოსი	24	2	22	1812:2112	26

თურქეთი

პლეი ოფი

I წრე (სამ მოგებამდე)

ბეშიქთაში	**1**
ძარშიაკა	**2**

ძარშიაკა 67:80 ბეშიქთაში

გალათასარაი	**3**
გუიუქ კოლეჯი	**1**

გუიუქ კოლეჯი 84:91 გალათასარაი

გალათასარაი გავიდა მეორე წრეში, სადაც ულქერს შეხვდება

საფრანგეთი

ლიდერის კანონზომიერი მარცხი

XXIX ტური

დიჟონი — ვილერბანი 85:81, პო ორტეზი — სტრასბური 110:89, ლე მანი — ბეზანსონი 88:75, ნანსი — შალონი 78:68, ანტიბი — რასინგი 82:95, შოლე — ლე ავრი 92:81, ევრე — გრაველინი 73:71, ბურგი — მონპელიე 87:78

გასულ უქმეებზე საფრანგეთში ბოლოსწინა ტური ჩატარდა და თითქმის ყველაფერი გაირკვა. დარჩენილ კითხვებზე პასუხს კი დასკვნითი მატჩები გასცემენ, რომლებიც დღესაა დანიშნული. ერთი კვირით ადრე პრო B-ს ჩემპიონობით პრო A-ს ადგილმოპოვებული „ლიმოჟი“ მომავალ სეზონში „ბეზანსონს“ შეცვლის, რომელმაც მორიგი მარცხი იწვნია და თეორიულადაც დაქვეითდა. გაირკვა პლეი ოფის მონაწილე 8 გუნდიც. „რასინგმა“ დაძაბულ ბრძოლაში „ანტიბს“ აჯობა და „შოლესთვის“ მიუღწეველი გახდა. თუმცა პარიზელებს რომც არ მოეგოთ, საუკეთესო რვა განდში მაინც მოხვდებოდნენ. „შოლემ“ გამოტოვებული მატჩი ვერ დაამთავრა თავის სასარგებლოდ.

წაგო გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა „ვილერბანმა“, მაგრამ ეს სენსაციად ნამდვილად არ უნდა ჩითვლოს. საქმე ისაა, რომ ამ ბოლო ხანს „მწვანეები“ ისე შეეგუჯნენ მარცხს, დიჟონში მათი მოგება უფრო მეტი მოულოდნელობა იქნებოდა. თავად განსაჯეთ, ჩემპიონატში ზედიზედ ოთხ წარუმატებლობას სუპროლიგაში მოსკოვის არმიელებთან წაგებული ორი მატჩი დაუმატეთ და გამოვა, რომ „ვილერბანს“ დაახლოებით ერთი თვეა, აღარაფერი მოუგია.

არადა, „დიჟონმა“ მეტად უხეიროდ დაიწყო მატჩი. ბურგუნდიელებმა მოწინააღმდეგეს ფარი თითქმის უბრძოლველად დაუთმეს და პირველ მეოთხედში მეტოქეზე ორჯერ ნაკლები რაოდენობის ქულები მოიხვეჭეს — 14:28. მეორე მეოთხედში ისინი შედარებით გამოფხიზლდნენ და ნელ-ნელა ანგარიშში სხვაობის შემცირებაც იწყეს (45:47), თუმცა ტაიმის ბოლო წამებზე ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს და მოწინააღმდეგეს ისევ მისცეს წინ გაჭრის საშუალება — 45:53. შესვენების შემდეგ თავისი 5 ათასი ქომაგის მხარდაჭერით და ლორისა (20 ქულა) და ბერგერსენის (19 ქულა) მშვენიერი თამაშის წყალობით „დიჟონმა“ მაინც შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და მოიგო კიდეც.

მეტად დაძაბული და საინტერესო მატჩი ჩატარდა პოში, სადაც „პო ორტეზმა“ „სტრასბურის“ ძლევა შეძლო. ამ მოგებით პოელებმა ფაქტობრივად გაინაღდეს რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილი, რადგან ბოლო ტურში ისინი ბეზანსონში თამაშობენ და, წესით, გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ.

პოს დარბაზი სეზონში პირველად გადაჭედილიყო (8000 კაცი) და მეტად ცუდ ხასიათზეც დადგა ხუთ წუთში, რადგან მასპინძლები 10 ქულით (10:20) ჩამორჩნენ ალზასელებს. თუმცა ბეარნელებმა მეორე მეოთხედშივე შეძლეს წინ გასვლა, რაც შორი დისტანციებიდან მათი სიზუსტის შედეგია. ჯამში პოელებმა 13 სამქულიანი ჩაგდეს, რაც შმვენიერი შედეგია. ტაიმი მათ 18 ქულით მოიგეს და ესტელერის (24 ქულა) მეოხებით მერე ერთხანს 26 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა საბოლოოდ „მხოლოდ“ 21 ქულით გამარჯვებას დასჯერდნენ.

პრო A-ში 1994 წელს აღზევებიდან საუკეთესო ადგილი დიკავა „ნანსიმ“, რომელმაც „შალონს“ აჯობა. ახლა ლოტარინგიელებმა გრაველინში რომც წააგონ, მეექვსე ადგილს მაინც ალარ ჩასცდებიან.

მოტივაციადაკარგულმა „შოლემ“ „ლე ავრს“ მაინც არაფერი დაუთმო და ნორმანდიელები დღეს შინ გადამწყვეტ მატჩს ითამაშებენ „ევრესთან“. გადამწყვეტი კი ეს შეხვედრა იმითაა, რომ წაგებული პირდაპირ გავარდება, მოგებული კი გადათამაშებაში მოხვდება და ეგებ შეინარჩუნოს კიდეც ელიტაში ადგილი.

ბაბი ბურული

ვილერბანი	29	23	6	2410:2090	52
პო ორტეზი	29	21	8	2437:2178	50
ლე მანი	29	21	8	2508:2390	50
სტრასბური	29	20	9	2436:2210	49
დიჟონი	29	18	11	2237:2101	47
ნანსი	29	18	11	2316:2235	47
შალონი	29	17	12	2100:2013	46
რასინგი	29	16	13	2657:2187	45
შოლე	29	14	15	2305:2263	43
ბურგი	29	13	16	2243:2329	42
ანტიბი	29	11	18	2300:2317	40
გრაველინი	28	12	16	2351:2375	40
მონპელიე	29	9	20	2292:2500	38
ევრე	29	7	22	2186:2461	36
ლე ავრი	28	6	22	2174:2483	34
ბეზანსონი	29	5	24	2050:2470	34

მძლეოსნობა

ოგლის კვერი კრიჭასთვის გამოცხვა

ჰოკეის ენით რომ ვთქვათ, პინგვინთა ქალაქ პიტსბურგში კვირას კარგა პრესტიჟული მარათონი გაიმართა. პრესტიჟი მარათონებზე უპირველესად სპრიზო ფონდის მოცულობით იზომება და პენსილვანიის შტატის იმ ქალაქში გამარჯვებულთათვის 7 500 დოლარი იყო გადადებული. პლუს 2 500 მას, ვინც ფიქსირებულ დროზე ნაკლებს უჩვენებდა. გარდა ამისა, პიტსბურგის მარათონი ადრე ამერიკის ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის ფუნქციას ასრულებდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გასაგზავნი იანკებიც იქ ვლინდებოდნენ. წლეულს ეს ფუნქცია დაიკარგა, მაგრამ პიტსბურგში კვირას მაინც სიცოცხლე ჩქეფდა. ქუჩაში მრავალი ადგილობრივი გამოვიდა და სტუმრებიც ბლომად იყვნენ, ცხადია, კენიელთა თამადობით. აფრიკელებმა უმალ ხელთ იგდეს ჯაფთა მარათონის სადავეები და დიდ შავ ჯგუფად გაიქცნენ ფინიშისკენ. ერთმანეთის გონივრული მონაცვლეობით კენიელებმა სწრაფად გაზარდეს სხვაობა მდევრებთან, ხოლო 30-ე კილომეტრიდან ელი რონო თვისტომებსაც გამოეყო. კენიელმა დამაჯერებლად გალია დარჩენილი კილომეტრები, ფინიშზე მისულმა კი ჟურნალისტებს უამბო ნაღვლიანი ისტორია იმის შესახებ, რომ მისი კუჭი რომ არა, პიტსბურგში ჩასვლას სულ არ აპირებდა. რონო ათი დღის წინ ნეშვილში იყო, ცნობილ „ქანთრი მიუზიკ მარათონზე“ უნდა ერბინა და სხვებთან ერთად გაიქცა კიდეც, მაგრამ 15 კილომეტრი არ გაევლო, რომ გულძმარვა დაეწყო და გაჩერება მოუხდა. გაშწარებულმა რონომ ჩრდილოეთით აინაცვლა და ახლა პიტსბურგში სცადა ბედი, სადაც იგი კუჭს არ შეეწუხებია, ფეხებმა კი საქმე ერთგულად შეასრულეს. რონომ არც სხვა კენიელების დამსახურება დაივიწყა. „გუნდური პრინციპი მარათონისას უმნიშვნელოვანესი რამ არის — აღნიშნა კენიელმა — ჩემი გამარჯვება უფრო ამან განაპირობა“.

რონოს ნათქვამს მოქმედებით არ დაეთანხმა მამთ ობოლი პოლონელი ვიოლეტა კრიჟა, ვინც პიტსბურგის მარათონის ქალთა ნაწილი მოიგო. კრიჟას მამა იანვარში აღესრულა და ცნობილი მემარათონე ქალბატონის კარიერაში პაუზა ჩამოწვა. არადა, დამრგვალებას ცოტა უნდოდა — 29 მარათონზე ერბინა პოლონელს და 19 მოეგო. თავისი ბიოგრაფიის სანიშანსვეტო ნაბიჯი კრიზამ პიტსბურგში გადადგა, სადაც ყოველგვარი დახმარების გარეშე პირველივე კილომეტრიდან დაწინაურდა და მდევრებს ვერავითარმა გუნდურმა პრინციპმა ვერ უშველა, რადგან: „მთელი გზა მამაჩემზე ვფიქრობდი — ამბობს კრიჟა — მისი ხსოვნა იყო ჩემი სტიმული და გამარჯვებას მას ვუძღვნი“. პოლონელს 10 ათასი დოლარი უბოძეს: 7 500 გამარჯვებისთვის და 2 500 2 საათისა და 35 წუთზე დაბლა ჩამოსვლისთვის. კრიჟას შედეგი 2:34,16 იყო.

„თავიდან პირადი რეკორდის დამყარება მსურდა — თქვა კიდევ კრიჟამ — მაგრამ რომ მივხვდი, არ გამომივიდოდა, მთლიანად პრემიაზე გადავერთე. ბოლოსკენ მაგრად გამეჭირდა, მაგრამ ისევ მამაჩემი გამახსენდა“.

დავით გულუა

ოკლენდი — კანბერა. ჭსავიე რაშმა კანბერელ ენდრიუ უოლკერს ლელოს გატანაში ხელი ვერ შეუშალა

ახალი ჩემპიონის მოლოდინში

ველინგტონი 27:51 ჰამილტონი

ველინგტონი: 4ლ: სტეინმეცი, სოოალო, სპაისი, ლილე; 2გ და 1ს: პოლუელი
ჰამილტონი: 5ლ: ლოუენი, რეიჰანა (3), ჯოლინზი (2); 3გ: ბილი (2), გ. ჯეკსონი; 1ს: ბილი, გ. ჯეკსონი (4)

სიდნეი 25:22 კრაისტჩერჩი

სიდნეი: 3ლ: ინგენი, პინკერტონი, ლაიონზი; 2გ და 2ს: ბერკი
კრაისტჩერჩი: 3ლ: რობერტსონი, მაკდონალდი, ბლეირი; 2გ და 1ს: ბლეირი

ოკლენდი 7:35 კანბერა

ოკლენდი: 1ლ: დაუდი; 1გ: ერლიჯი
კანბერა: 4ლ: ლარკემი, უოლკერი, გიფინი, ფინეგანი; 3გ: მორტლოკი (2), როფი; 3ს: მორტლოკი

პრეტორია 23:34 კეიპტაუნი

პრეტორია: 2ლ: ჯეკობსი; 2გ და 3ს: სტეინი
კეიპტაუნი: 4ლ: პოლსე (3), ბერი; 4გ და 2ს: ფან სტრაატენი

ბრისბენი 33:22 დანიდინი

ბრისბენი: 3ლ: ლეითემი (2), რაულუნი; 3გ და 4ს: ფლეიტლი
დანიდინი: 3ლ: ტუილეგუ (2), მელინგი; 2გ და 1ს: ბრაუნი

ზე-12-ს წლეულს ახალი ჩემპიონი ეყოლება. ეს უკვე ფაქტია. პირველი ორი ტურნირის მომგები ახალზელანდიური ოკლენდი ნახევარფინალში გასასვლელად ბრძოლას უკვე კარგა ხანია, ჩამოშორდა. გასულ უქმეებზე გამართულ მეთერთმეტე ტურში კი მეექვსედ დამარცხდა ბოლო სამი წლის ჩემპიონი, ასევე ახალზელანდიური კრაისტჩერჩი და საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის ბოლო იმედიც გადაეწურა.

„ოლ ბლექსის“ ქვეყანა შეიძლება საერთოდაც უნახევარფინალისტოდ დარჩეს, რაც პირველად მოხდება ზე-12-ის ხუთწლიან ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში, ახლა პირველ ოთხეულში კუნძულელებს ერთი გუნდიც არ ჰყავთ, იქ მოხვედრის საუკეთესო შანსი კი ჰამილტონს აქვს, რომელიც შეჯიბრის დასკვნით ტურში კანბერას სტუმრობს. ჰოდა, კანბერელთა სიძლიერეს თუ გავითვალისწინებთ, ძნელი სათქმელია, რომ ჰამილტონელები ნახევარფინალს უწევენ, მათ ხომ უცილობელი გამარჯვება სჭირდებათ და იქნებ ეს არც კი ეყოთ. საქმე ისაა, რომ ჯონ ილზის დაბრუნებით ფრთაშესხმული ბრისბენი თანამემამულე სიდნეის ესტუმრება და სავარაუდოდ გაიმარჯვებს კიდეც, რადგან ამჟამად მეტოქეზე გაცილებით უკეთეს ფორმაშია. მერე კი დაიწყება ბურთების თვლა.

ისე, თეორიულად ისიცაა შესაძლებელი, რომ ორივე ეს გუნდი გავიდეს ნახევარფინალში, ან მის გარეთ დარჩეს. პირველი ვარიანტი გაცილებით არარეალურია, რადგან ამ შემთხვევაში ჰამილტონმაც და ბრისბენმაც პრემიალური ქულებით და დიდი სხვაობით უნდა მოიგონ, იოჰანსბურგი კი შინ უნდა დამარცხდეს მაჩანჩალა პრეტორიასთან, თანაც ისე, რომ პრემიალური ქულაც ვერ მოიპოვოს, რაც ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია.

მეორე ვარიანტში კი ბრისბენმაც უნდა წააგოს და ჰამილტონმაც და მათი მდევრებიდან (კეიპტაუნი, ველინგტონი, დანიდინი, სიდნეი) ერთ-ერთს საშუალება მიეცემა, უკანასკნელ წამს გააღწიოს შემდეგ ეტაპზე. თუმცა ამდენ მარჩიელობას ჯობს, რამდენიმე დღეც დავიცადოთ, მანამდე კი მეთერთმეტე ტურის მატჩებს მივხედოთ.

ყველაზე მოულოდნელი შედეგით ველინგტონში გამართული შეხვედრა დასრულდა. ამ ქალაქს სამხრეთაფრიკული ტურნედან ოთხი დღის მობრუნებული ჰამილტონი სტუმრობდა. მასპინძლებმა კარგად დაიწყეს თამაში და მალევე დაწინაურდნენ სტეინმეცის ლელოთი (5:0). ეს ანგარიში დაახლოებით 20 წუთი არ შეცვლილა, მერე კი სტუმრებმა ერთი საჯარიმო მიითვალეს. ამ დროს ველინგტონელთა მთაკაცმა ჯონა ლომუმ, როგორც იქნა, განახორციელა რეიდი, რომელმაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი და ლელოც გაიტანა. თუმცა შეხვედრის მთავარმა მსაჯმა რაღაც იეჭვა და ვიდეოფირის დახმარება ითხოვა. გამეორებამ ნათლად აჩვენა, რომ ლომუს სირბილისას ფეხი გვერდით ხახს იქით გადასცდენოდა და ლელოც არ ჩაითვალა.

თითქოს ამას ელოდნენო, სტუმრები აფეთქდნენ და მასპინძლებს კოშმარული 17 წუთი მოუწყვეს. ეს წუთები პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში იყო, როცა ჰამილტონმა 4 ლელო გაიტანა და 35:5 დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი ლელოდან სამი ბრიუს რეიჰანას ანგარიშზეა. ყველამ იფიქრა, რომ საქმე მომთავრებული იყო, მაგრამ ველინგტონი დანებებას არ აპირებდა და მსაჯის საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა 11 ქულამდეც შეამცირა (27:38). თუმცა მასპინძლებმა მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს და საბოლოოდ 27:51 დამარცხდნენ.

სატურნირო ცხრილში პირველობა რომ დაებრუნებინა, კანბერას ოთხი ან მეტი ლელოს გატანით მოგება სჭირდებოდა ოკლენდში, რაც მოახერხა კიდეც. ავსტრალიელები თავიდანვე ძალიან სწრაფ ტემპში და ძლიერად ათამაშდნენ და უკვე მე-2 წუთზე დაალელოვეს „ლურჯები“. ეს სტივენ ლარკემმა გააკეთა. ამის მერეც მოედნის სრული ბატონ-პატრონი მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები იყვნენ. შესვენებამდე მათ კიდევ ორი ლელო გაიტანეს და ტაიმი 25:0 მოიგეს.

მეორე ორმოცწუთიანში კანბერა ცოტათი მოეშვა, რისთვისაც კინაღამ დაისაჯა. არა, მისი გამარჯვება სათუო წამითაც არ გამხდარა, რადგან ოკლენდი მხოლოდ პრესტიჟის ლელოთი დაკმაყოფილდა, მაგრამ სტუმრებს მეოთხე ლელო ხომ ჰაერივით სჭირდებოდათ. ჰოდა, ფინეგანმა ოდენ მსაჯის მიერ წამატებულ დროში შეძლო პრემიალური ქულის მომტანი ლელოს გატანა.

სიდნეური მატჩი მეტად უნიათოდ დაიწყო. ანგარიში მხოლოდ 39-ე წუთზე გაიხსნა, როცა მეტიუ ბერკმა საჯარიმო შეაგდო. მერე კი სიტუაცია ელვისებური სისწრაფით იცვლებოდა. ტაიმი მასპინძლებმა თამაშის განახლებისთანავე გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ პინკერტონმა ისევ სიდნეი დააწინაურა (15:10). 71-ე წუთზე „მოგზაურებმა“ შეძლეს წინ გასვლა, როცა მაკდონალდის ლელო ბლეირმა გარდასახა. თუმცა ბერკმა საჯარიმოთი მყის ისევ სიდნეი დააწინაურა, რასაც ლაიონზის ლელოც მოჰყვა. კრაისტჩერჩელებს ყურები არ ჩამოუყრიათ და ბლეირმა ლელოც მიითვალა, მაგრამ საბოლოოდ მაინც სიდნეიმ იმარჯვა და... იხილეთ სათაური

პრეტორიამ თავისი პირველი გამარჯვების შემდეგ უმასპინძლა კეიპტაუნს და ისევ გაიხსნა წაგების გემო. არადა, საწყისი 20 წუთი „ხარების“ სრული უპირატესობით წარიმართა, თუმცა მათ მხოლოდ 3 ქულის მოხვეჭა შეძლეს. მერე კი პრეტორიელთა დაცვაში არსებული ხარვეზებით მშვენივრად ისარგებლა ბრეიტონ პოლსემ და ჰეთ თრიქიც შეასრულა. მასპინძლები ბოლო წუთებზეღა გააქტიურდნენ, მაგრამ გვიანღა იყო.

„წითლებმა“ „მთიელებს“ თავიდანვე დიდი შტურმი მოუწყვეს და დაახლოებით მეოცე წუთისთვის 17:0 დაწინაურდნენ. დანიდინმა კი სცადა გარდატეხის შეტანა, მაგრამ პირველ ტაიმში არაფერი გამოუვიდა. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ მალე მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს (20:17) და იქნებ წინაც გასულიყო, ბედს ცოტაც რომ გაეღიმა. თუმცა ბრისბენმა მეტის გაკეთების უფლება ალარ მისცა მეტოქეს, ზედიზედ ორ ლელოს ერთი საჯარიმოც დაურთო და მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე 33:17 დაწინაურდა. დარჩენილ დროში კი, ტუილეგუს მეორე ლელოს მიუხედავად, ილზის თანაგუნდელებს გამარჯვების შენარჩუნება ალარ გასჭირვებიათ.

ბაბი ბურული

კანბერა	10	7	0	3	5	2	299:198	35
დურბანი	10	7	0	3	4	2	299:227	34
იოჰანესბურგი	10	7	0	3	2	3	266:223	33
ბრისბენი	10	5	0	5	4	4	275:257	28
ჰამილტონი	10	6	0	4	4	0	295:281	28
კეიპტაუნი	10	5	0	5	3	2	259:262	25
ველინგტონი	10	5	0	5	4	1	274:280	25
დანიდინი	10	5	0	5	3	2	258:274	25
სიდნეი	10	5	0	5	3	1	286:277	24
კრაისტჩერჩი	10	4	0	6	2	4	286:305	22
ოკლენდი	10	3	0	7	2	2	207:281	16
პრეტორია	10	1	0	9	2	1	220:359	7

მოგებისთვის გუნდებს ერიცხებათ 4 ქულა, ფრისთვის — 2, წაგებისთვის კი არცერთი. მეხუთე გრაფაში 4 ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია.

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16, ფალიაშვილის ქუჩა №27) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16), მარნეულში (რუსთაველის ქუჩა №39) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები

		9 მაისი			
22.00	001	ვალდჰოფი-ულმი	1,35	4,0	6,5
22.00	002	ალენი-ობერჰაუზენი	1,6	3,5	4,7

იტალია. სერია B. 34-ე ტური

		10 მაისი			
23.45	005	ტორინო-კალიარი	1,5	3,1	7,0

ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

		9 მაისი			
22.00	006	იგლსი-ზვოლე	2,0	3,1	3,4

პოლონეთი. 25-ე ტური

		9 მაისი			
19.30	007	გროცლინი-ოდრა	1,9	3,1	3,6
20.00	008	რაძიონკოვი-პოლონია	2,7	3,0	2,3
20.00	009	ვისლა-შლიონსკი	1,2	5,0	9,0
20.00	010	ზაგლებე-სტომილი	1,65	3,3	4,7
20.30	011	პლოცკი-რუხი	2,4	3,0	2,7
21.00	012	ვიძევი-პოგონი	2,5	3,0	2,5
21.00	013	ლეგია-კატოვიცე	1,4	3,3	8,0

დანია. 27-ე ტური

		9 მაისი			
22.00	015	ლიუნგბიუ-ჰერფიოლგე	1,75	3,3	3,8
		10 მაისი			
22.00	017	იურგორდენი-ტრელებორგი	1,95	3,2	3,4

ავსტრია. თასის 1/2 ფინალი

		9 მაისი			
21.00	019	რაპიდი-ტიროლი	2,2	3,1	3,0

დანია. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები

		10 მაისი			
21.45	020	ვიბორგი-აკადემისკი	1,65	3,4	4,4
23.45	021	სილკებორგი-მიდტიულანდი	1,95	3,2	3,4

შვედეთი. თასის 1/2 ფინალი

		10 მაისი			
22.00	022	მალმიო-აიკ	2,4	3,1	2,6

ჩემპიონთა თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები

		9 მაისი			
23.45	502	ბაიერნი-რეალი	2,5	3,0	2,5

ლიბერტადორესის თასი

		9 მაისი			
05.00	505	სერო პორტენო-კრუზ ასული	1,75	3,1	4,2
05.40	506	სან კაეტანო-პალმეირასი	2,6	3,1	2,4
05.40	507	დეპორტეს კონსეპსიონი-ვასკუ და გამა	3,5	3,2	1,9
06.00	508	ამერიკა-ნასიონალი	1,7	3,2	4,4
06.00	509	ემელეკი-რივერ პლეიტი	2,4	3,1	2,6
06.00	510	ხუნიორ ბარანკილია-ბოკა ხუნიორსი	2,4	3,1	2,6

I ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		9 მაისი									
23.45	602	ბაიერნი-რეალი	3,8	10,0	20,0	4,7	4,7	4,7	20,0	10,0	3,8

ჩემპიონთა თასი. ფინალში გასვლა

		9 მაისი				
23.45	702	ბაიერნი	-1,3		რეალი	-2,5

კალათბურთი. 1/4 ფინალი

		9 მაისი			
04.00	803	ფილადელფია-ტორონტო	1,2	12,0	3,5
06.30	804	დალასი-სან ანტონიო	1,6	12,0	1,8
		10 მაისი			
05.00	805	შარლოტი-მილუოკი	1,45	12,0	2,1

კალათბურთი. ევროლიგა. ფინალი. V მატჩი

		10 მაისი			
23.30	806	კინდერი-ტაუ	1,35	12,0	2,5

ჰოკეი. 1/4 ფინალი

		9 მაისი			
04.00	902	ნიუ ჯერსი-ტორონტო	1,0	1,0	1,0
07.00	903	კოლორადო-ლოს ანჯელესი	1,45	4,0	3,4
		10 მაისი			
04.30	904	ბუფალო-პიტსბურგი	1,0	1,0	1,0

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
თბილისი	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მეხუთე ეტაპი (არგენტინა)

ფორდის ტანგო არგენტინაში

წლევანდელი სეზონის მეოთხე ეტაპის შემდეგ ჩემპიონატის მონაწილეებს თითქმის თვენახევარი ჰქონდათ მანქანებში ხარვეზების აღმოსაფხვრელად. არგენტინაში ყველა იმედიანად კი ჩავიდა, მაგრამ იქაურმა უგზოობამ და უამინდობამ უმრავლესობას ახალი თავსატეხი გაუჩინა.

ქალაქ კორდობას მიდამოებში ეკიპაჟებს 21 ჩასათვლელი მონაკვეთი უნდა დაეძლიათ უსწრაფესად. შეჯიბრებაში 65 წყვილი ჩაება. ორგანიზატორებმა როგორც რელიეფის, ასევე საფარის მხრივ მეტად რთული მარშრუტი შეარჩიეს. პილოტებსაც ქვაღორღიან გზებზე ერთიმეორის მიყოლებით უწნდებოდათ პრობლემები. ჩემპიონატის ლიდერი ტომი მაკინენი თავისი „მიცუბიშის“ რადიატორმა გააწვალა. ფინელი საწყის ორ მოკლე ჩქაროსნულ მონაკვეთზე 12 წამით ჩამორჩა დაწინაურებულ კოლინ მაკრეის, ხოლო დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. მაკრეისა და შტურმან ნიკი გრისტის ეკიპაჟს წინა ოთხ ეტაპზე ერთი ქულაც კი ვერ მოეპოვებინა. 1995 წლის ჩემპიონმა ამჯერად თავიდანვე ხელით იგდო ლიდერობა და პირველივე დღეს 40 წამით ჩამოიტოვა არგენტინის რალის შარშანდელი გამარჯვებული რიჩარდ ბარნსი. მესამე პოზიცია მყარად ეკავა ვეტერან კარლოს საინსს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მას წელის ტკივილი აწუხებს, გამაყუჩებელი აბების მიღების შემდეგ მაინც გადაწყვიტა სტარტზე გასვლა.

მომდევნო ორ დღეს დაწინაურებულთა სამეულში ცვლილება არ მომხდარა. ბარნსი ბევრს კი ეცადა, მაგრამ ისეა მოახერხა, რომ ლიდერთან ჩამორჩენა 15 წამით შეამცირა. მაკინენმა მის წინ მყოფი პეტერ სოლბერგის სერიოზული შეფერხებით ისარგებლა და ერთი ადგილით აინაცვლა, ხოლო შარშანდელმა ჩემპიონმა მარკუს გრონჰოლმმა მე-19 მონაკვეთზე მოსახვევში შეცდომა დაუშვა და მეოთხედ ვადამდე გამოეთიშა ბრძოლას.

მეორე დღეს ტრასაზე გაჩენილი ხანძარი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოედო და მაყურებელთა რამდენიმე მანქანასაც ცეცხლი გაუჩნდა. საშველად მიმავალი „სახანძრო“ მოსახვევში გადაბრუნდა და ორი „შკოდა“ კინაღამ ქვეშ მოიყოლა. არმინ შვარცი და ბრუნო ტიერი მოულოდნელ ხიფათს მშვიდობიანად გადაურჩნენ, მათ ბედაურებს კი აღარაფერი ეშველა.

„ფორდმა“ არგენტინაში მოპოვებული 14 ქულით საგრძნობლად შეამცირა გუნდურ ჩათვლაში დაწინაურებულ „მიცუბიშისთან“ ჩამორჩენა — ორ უმსხვილეს კონცერნს შორის სხვაობა ამჟამად მხოლოდ რვა ქულაა.

მომდევნო, მეექვსე ეტაპს ივნისის დამდეგს კვიპროსი უმასპინძლებს.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი)	4სთ,	18.25,3
2	რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, სუბარუ)	ჩამორჩა	26,9 წმ
3	კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი)		1.46,4
4	ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში)		3.12,6
5	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)		3.47,0
6	ფრედ ლუაქსი (ბელგია, მიცუბიში)		5.40,1

საერთო ჩათვლა

1. ტომი მაკინენი 27 ქულა; 2. კარლოს საინსი 22; 3. ბარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 10; 4. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, პეჟო) 10; 5. კოლინ მაკრეი 10; 6. რიჩარდ ბარნსი 9; 7. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, ფორდი) 9; 8. ტომას რადსტრიომი (შვედეთი, მიცუბიში) 6; 9. ფილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 6; 10. ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, პეჟო) 5.

REUTERS კორდობადან

ხანძარსა და ავარიის, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აპუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აბრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის ოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უზასო კონსულტაციით

თბილისი. რესპუბლიკური საავადმყოფო. I სართული
ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

იყიდება

საშოთანიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ. აბაზანა–ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ. №71 II სად. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც:



ტელ:
22-75-07. 69-52-58

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის,

აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.

მიღება წინასწარ ჩაწერით —

29-26-84.

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

ხალხთა რჩევა

დაუკმაყოფილებელი ამერიკელები

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 105-წლიან ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ამ ღონისძიების უმეტესობისთვის აშშ-ს უმასპინძლია — ოთხჯერ ზაფხულის, სამჯერ კი ზამთრის. ერთ წელიწადში კი სოლტ ლეიკ სიტის თეთრი ოლიმპიადაც აიღებს სტარტს. მაგრამ, როგორც ეტყობა, ამერიკელები ამით დაკმაყოფილებას არ აპირებენ. აშშ-ის ეოკ-ს (უსოკ) 2012 წლისთვისაც მიუპყრია მზერა. ამერიკის ოლიმპიზმის მამებმა ამისთვის ოპერატიული ჯგუფიც ჩამოაყალიბეს და ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ რვა ქალაქში გასამგზავრებელი დღეც დათქვეს. აშშ-ის ეოკ-ის შემფასებელთა რვაკაციანი ოპერატიული ჯგუფი მუშაობას ზაფხულიდან შეუდგება. იგი თითეულ ქალაქში ოთხ-ოთხ დღეს დაჰყოფს. მათ შორის საუკეთესოს უსოკ-ი 2002 წლის ოქტომბერში დაასახელებს. ასეთ რჩეულს კი 2012 წლის ოლიმპიადისთვის მებრძოლ მსოფლიოს სხვა ქალაქებთან ჭიდილი მოუწევს.

თუმცა იანკთა წადილს სკეპტიკოსები ეჭვის თვალით უყურებენ. 2012 წლის აშშ-ის შანსებზე საუბრისას მაგალითად კარს მომდგარი სკანდალებში გახვეული სოლტ ლეიკ სიტის მომავალი ოლიმპიური თამაშები მოჰყავთ. გარდა ამისა, წარმატების შანსს ამცირებს ისიც, რომ ამერიკამ ოლიმპიადას 1996 წელსაც უმასპინძლა ატლანტაში.

საინტერესოა სოკ-ის წევრის, აშშ-ის ეოკ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, ბილ ჰიბლის განცხადება. მას იმედი აქვს, რომ 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის ბრძოლაში ამერიკელთა წარმატებას ხელს შეუწყობს სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის წარმატებულად განხორციელებული მოსამზადებელი პერიოდი.

ოპერატიულ ჯგუფს უხელმძღვანელებს აშშ-ის ეოკ-ის საბჭოს ყოფილი წევრი ჩარლზ მური, ხოლო მას მოადგილედ სოლტ ლეიკ სიტის ყოფილი მერი დიდი კორადინი დაუნიშნეს.

ოლიმპიადის მასპინძლობა, როგორც უკვე იცით, რვა ქალაქს სურს. ესენი არიან: ვაშინგტონი, დალასი ჰიუსტონი, ცინცინატი, ნიუ იორკი, ტამპა, სან ფრანცისკო და ლოს ანჯელესი.

პეკინს ძირს უთხრიან

ის, რომ ამერიკელებმა ჩინეთი მიზანში ამოიღეს, ბოლოდროინდელი მოვლენებიდანაც ნათლად ჩანს. ამერიკელები ჩინელების მორჯულებას ოლიმპიადის მეშვეობით ცდილობენ. თუმცა, როგორც აზიელები აცხადებენ, ოლიმპიადა მათთვის მართლაც რომ მისწრებაა.

საქმე ისაა, რომ პეკინი 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის იბრძვის და ამ საქმეში ერთ-ერთი ფავორიტიცაა. აშშ კი ყველანაირად ცდილობს, ჩინეთს ხელი შეუშალოს. მიზეზად ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთი ფაქტი მოჰყავს, ამასთან ერთად, ჩინეთის საპყრობილეები პოლიტპატიმრებითაა სავსეო.

ამის პასუხად ჩინელები აცხადებენ, თუ თქვენ გინდათ, რომ ქვეყანაში ყოველივე ეს გამოსწორდეს, ხელის შეშლის ნაცვლად დაგვეხმარეთო. დახმარებაში კი ისინი 2008 წლის არჩევნებში მხარდაჭერას გულისხმობენ.

„პეკინის ოლიმპიადის მასპინძლად გამოცხადება ადამიანის უფლებათა დაცვას შეუწყობს ხელს. ძალიან მნიშვნელოვანია, ოლიმპიადა აქ ჩატარდეს, ვიდრე სხვა ქვეყანაში. ჩინეთს გარე სამყაროსთან ინტეგრაცია სჭირდება. კარი გაუღეთ ჩინეთს, ეს პროცესი გარდაუვალია. ოლიმპიადა კარგი საშუალებაა ურთიერთგაგების დასამყარებლად“ — განაცხადა პეკინის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ლიუ ჯინგმინმა.

სხვათა შორის, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინსპექტორთა 17-კაციანი გუნდი პეკინს ეწვია, ქალაქის მერმა ლიუ კიმ სტუმრებს თხოვნით მიმართა, 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატთა შემოწმებისას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს კი ნუ მიიღებთ მხედველობაში, არამედ წმინდა სპორტული თვალსაზრისით განგვსაჯეთო.

მართლაც, პეკინმა კარგად უწყის საკუთარი თავის ფასი. რომ არა ეს პოლიტიკური ბარიერი, მაშინ მას თავი ქუდში ექნებოდა. მით უმეტეს, დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ სოკ-მა ოლიმპიადების მასპინძლობის მსურველთა შერჩევისას ოლიმპიური რუკა უფრო მრავალფეროვანი უნდა გახადოს. ჩინეთს, რომელსაც უდიდესი პოტენციალი გააჩნია, ოლიმპიადისთვის არასოდეს უმასპინძლია.

„პეკინი 2008“ საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს მაინც სჯერა, რომ პეკინის მიმართ გაჩაღებული პოლიტიკური კამპანია მარცხისთვისაა განწირული. „ბევრი პოლიტიკოსი გამოდის ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ მათ იმედგაცრუება ელით. შესაძლოა შედეგზე იქონიონ გავლენა, მაგრამ ამას ისეთი ძალა აღარ ექნება“ — იმედიანადაა „პეკინი 2008“-ის მაღალჩინოსანი.

ლიუ ჯინგმინთან პირად საუბარში ერთ-ერთმა სოკ-ელმა დიდმოხელემ განაცხადა, რომ აშშ-ის კანონმდებლები ყოველთვის თავს ესხმიან პეკინს, თუმცა ჩინეთის დედაქალაქისთვის ეს სხვა არჩევნები იქნება.

„ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ადამიანის უფლებების დაცვით ამერიკელთა უკმაყოფილება ივლისის არჩევნებში პეკინს შეუწყობს ხელს. სოკ-ის წევრებს არ მოსწონთ, როდესაც ამერიკელი პოლიტიკოსებისგან იღებენ მითითებებს. გულწრფელად რომ ვთქვათ, ერთადერთი, რამაც შეიძლება პეკინს ხელი შეუშალოს, ისაა, თუკი ისინი ფეხებში დაიხლიან ტყვიას“ — ფრანს პრესთან საუბრისას განაცხადა სოკ-ის ერთ-ერთმა ევროპელმა დიდმოხელემ.

აღსანიშნავია სოკ-ის პრეზიდენტის, ხუან ანტონიო სამარანჩის მოსაზრება. მან ნათლად გამოხატა პეკინის მიმართ საკუთარი პოზიცია. იგი კვლავაც მხარს უჭერს ჩინეთის დედაქალაქს. გარდა ამისა, სამარანჩი აღნიშნავს, რომ სოკ-ის სპონსორებისთვის ჩინეთის უდიდეს ბაზარზე გასვლა ერთობ მიმზიდველია.

„ჩვენ უამრავი ამერიკელი სპონსორი გვიჭერს მხარს. დამისახელეთ მიზეზი, თუ რატომ არ უნდა უმასპინძლოს ოლიმპიადას პეკინმა?“ — კითხულობს ლიუ ჯინგმინი.

თუმცა მათ ოპტიმიზმს ძირს უთხრის სოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დიკ პაუნდი. კერძოდ, კანადელს მიაჩნია, რომ სოკ-ის 13 ივლისის არჩევნებზე ოლიმპიზმის მამებმა უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებები.

„სოკ-ის წევრებმა ხმის მიცემისას, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მიიღონ ქვეყანაში არსებული ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტები“ — კატეგორიულად აცხადებს დიკ პაუნდი ფრანგულ გაზეთ „იუმანიტე-ებდოსთან“ საუბრისას.

საინტერესოა, რომ პროფესიით ადვოკატის ეს კომენტარი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის ახლახან გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა. პაუელი ამბობს, რომ მის მთავრობას ჯერ არ გადაუწყვეტია, შეუშალოს თუ არა ხელი ჩინელებს.

გიგა გურასაშვილი

ვინუსი სიზმარსა და ცხადში

ჰიუსტონი. აშშ-ის ვაუთა სათიხნარო პირველობა. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $

ნახევარფინალი: ენდი როდიკი (აშშ) — ფერომ გოლმარი (3, საფრანგეთი) 7:6 (7:3), 7:6 (7:4); ჰიუზმ-ტაიკ ლი (8, კორეა) — მიხალ ტაბარა (4, ჩეხეთი) 4:6, 6:2, 6:1

ფინალი: როდიკი — ლი 7:5, 6:3

სანამ 18 წლის ამერიკელ ენდი როდიკს თავისას მივაგებდეთ, მასზე ოდნავ უფროს ჩვენს თანამემამულე ირაკლი ლაბაძეს დავუბრუნდეთ. სამწუხაროდ, ATP-ის ტიტულის მფლობელ პირველ ქართველად ირაკლი ისტორიაში ჯერ-ჯერობით ვერ შევიდა. შეეცადა გეორგ ბასტლთან ერთად მოასპარეზე თბილისელმა წყვილების ნახევარფინალში 3:6, 7:6 (7:4), 3:6 წაგო მასპინძლებთან კევინ კიმსა და ჯონ ტომასთან.

ერთეულებში კი ჰიუსტონში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ამომავალმა ამერიკელმა ვარსკვლავმა როდიკმა. კვირით ადრე მოპოვებულ კარიერის პირველ ტიტულს გასული სეზონის საუკეთესო იუნიორმა ჰიუსტონში კიდევ ერთი მიუმატა: „არ ვიცი, ფსიქოლოგიურად როგორ არ მოვეშვი და ამდენი ხნის მანძილზე შევინარჩუნე ყურადღება. ამ გამარჯვებამ უფრო თავდაჯერებული გამხადა. ახლა უკვე შემიძლია, თავადაც ვირწმუნო, რომ ქომაგებს იმედს არ გავუცრუებ. ბოლო ხანებში თამაშის ბევრი ასპექტი გავაუმჯობესე, განსაკუთრებით ბადესთან გარჯა და მიღება."

სინამდვილეში ახალგაზრდა იანკის წარმატებაში ლომის წილი მის დამაფრთხობელ მოწოდებას ეკუთვნის — მეტოქეებს მათკენ 220 კმ/სთ სიჩქარით მიმავალი ყუმბარების უკან გაბრუნება კი არა, უბრალოდ, ჩოგნის შეხება უჭირთ. როდიკის მიღწევა პიტ სამპრასსაც კი შურით აავსებს: ყველაზე ნელ, თიხნარის საფარზე ასპარეზობის მიუხედავად, ამერიკელს ზედიზედ 9 მატჩია, მოწოდება ერთხელაც არ დაუკარგავს.

გადამწყვეტ მატჩში კორეელი ჰიუნგ ტაიკ ლის წინააღმდეგ (ლი პირველი ATP-ის ფინალისტია თავისი ქვეყნიდან) როდიკს თავიდან გაუჭირდა მეტოქის რისკიან, აგრესიულ სტილთან შეხმატკბილება, მაგრამ რაკიღა მის მოწოდებას საფრთხე ერთხელაც არ დამუქრებია, ნელ-ნელა თავისუფლად ათამაშდა, ხელთ იგდო უპირატესობა და დამაჯერებლად იმარჯვა.

„კარგი ის არის, რომ ამ ორი ტიტულის შემდეგ კლასიფიკაციაში მნიშვნელოვნად წავიწევ წინ და ნებისმიერი ტურნირის ძირითად ბადეში უაილდ ქარდებისა და კვალიფიკაციის გავლის გარეშეც მოვხვდები. ამიერიდან არჩევნის თავისუფლება მექნება" — აღნიშნა ამერიკელმა და ცოტა დაიმორცხვა, რა დროს ჩემი ვარსკვლავად ან როლან გაროსის ფავორიტად შერაცხვაო.

ჰიუსტონში გამარჯვებისთვის როდიკს 46 ათასი დოლარი ერგო, თუმცა შინ ამაზე გაცილებით ნაკლებს წაიღებდა. საქმე ის არის, რომ ნახევარფინალში მისი შეხვედრა წვიმის გამო ოთხი საათით რომ შეწყდა, ტრიბუნებს სულ ორასამდე ქომაგი შემორჩა. „ეი-როდმა" ერთგული მაყურებლების მიმართ მადლიერება იმით გამოხატა, რომ ვისაც ფინალის ბილეთი არ ჰქონდა, ყველას საკუთარი ხარჯით ყიდვა შესთავაზა. მისდა გასაკვირად, თავპატიჟი ბევრს არ დაუწყია და უფასო ბილეთის მსურველთა გვარიანი რიგიც გაიწელა. „იმედია, ჩემი საპრიზოები ამას ეყოფა" — გვიან იკბინა ენაზე ამერიკელმა, რომელსაც კარიერაში არა ერთი და ორი მილიონის მოგება „ემუქრება".

მიუნხენი (გერმანია) BMW-ს ღია პირველობა თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

ნახევარფინალი: იარჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:4; ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 5:7, 6:1, 6:2

ფინალი: ნოვაკი — დიუპუი 6:4, 7:5



ენდი როდიკმა ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო

BMW-ს ღია პირველობაზე კარიერის მესამე ტიტული ჩეხ ირჟი ნოვაკს ერგო, მაგრამ საყოველთაო ყურადღების ცენტრში ის კი არა, ფრანგი ანტონი დიუპუი მოექცა. დიუპუი 28 წლის გახლავთ, მაგრამ ვეტერანს ძნელად თუ უწოდებს კაცი: ჯერ ერთი, ჩოგბურთის თამაში მხოლოდ სკოლის დამთავრების შემდეგ ისწავლა, მეორეც, პროფესიული კარიერა სულ 3 წელია, რაც დაიწყო.

„კარგა ხნის განმავლობაში დისკოთეკებზე გაცილებით მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე კორტზე. 25 წლისა არჩევნის წინაშე დავდექი: ან ჩემს საჩოგბურთო კლუბში მასწავლებლად უნდა დავრჩენილიყავი, ან ვირივით მეშუშავა და ბლომად ფულის შოვნის შანსი მომეპოვებინა. გადაწყვეტილების მიღებაში ის დამეხმარა, რომ პარიზის სამაგალ ამინდებს პროფესიონალის ცხოვრება და მოგზაურობა მერჩია" — აღნიშნა ფრანგმა, რომელმაც ნახევარფინალში იუნეს ელ აინაუის დამარცხების შემდეგ მეტოქეს ხელი არ ჩამოართვა, თაღლითობდა მსაჯის გადაწყვეტილებების გაპროტესტების დროსო.

რაც შეეხება ნოვაკს, გამარჯვება მან თავის ჯერაც დაუბადებელ ტყუპებს მიუძღვნა. ჩეხის მეუღლე ფეხმძიმობის მეცხრე თვეშია: „ბავშვებზე ფიქრი შესანიშნავი სტიმული გამოდგა. დამეხმარა ჩემს ახალ მწვრთნელ იან კუკალთან ერთად ვარჯიშშიც. არ მეგონა, თუ ეს ასე სწრაფად გამოიღებდა შედეგს."

მალიორკას (ესპანეთი) ღია პირველობა თიხნარი. საპრიზო 500 ათასი $

ნახევარფინალი: ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:3, 6:3; გილერმო ჰორია (4, არგენტინა) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 4:6, 6:3, 7:5

ფინალი: მარტინა — ჰორია 6:3, 3:6, 6:2

მსოფლიოს ყველაზე ორიგინალურ, ნამდვილი კორიდის არენაზე მდებარე მალიორკას ცენტრალურ კორტზე ამ პატარა კუნძულის, ალბათ, ყველაზე სახელოვან შვილს — კარლოს მოიას ისევ არ ეღირსა მთავარი ჯილდოს მოპოვება. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანიც და 19 წლის არგენტინელი ფენომენი გილერმო კორიაც ჩია ესპანელმა ალბერტო მარტინმა გააგორა.

ჰამბურგი (გერმანია) „ბეტი ბარკლის თასი" თიხნარი. საპრიზო 565 ათასი $

ნახევარფინალი: ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) 6:3, 6:1; მიგან შონესი (აშშ) — ამანდა კუტცერი (2, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:4

ფინალი: უილიამსი — შონესი 6:3, 6:0

REUTERS ჯამბურგიდან

ვინუს უილიამსს როლან გაროსი ესიზმრება

„ამას წინათ როლან გაროსის მოგების შესახებ ვნახე სიზმარი. რომ გითხრათ, სასიამოვნო იყო-მეთქი, ტყუილი იქნება, რადგან გამვიღვიძე, მივხვდი, რომ ეს სინამდვილეში არ მომხდარა და გული დამწყდა. იმედია, მომდევნო ასეთ სიზმრიდან გამორკვევისას ეგ ტიტული უკვე მოპოვებული მექნება" — განაცხადა კვირას მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ვინუს უილიამსმა და ამასთან კლასიფიკაციის კენწეროდან მარტინა ჰინგისის ჩამოგდების დიდი სურვილიც გამოთქვა.

თუ იმით ვიმსჯელებთ, შავმა ვენერამ როგორ დაიფრინა ჰამბურგში მეტოქეები, სიზმრის ახდენას წინ ბევრი არაფერი უდგას. თავად განსაჯეთ, ტურნირზე ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში უფროსმა უილიამსმა საშუალოდ 3 გეიმი წააგო და კორტზე საშუალოდ საათზე ნაკლები გაატარა.

„დღეს თავს სრულიად უმწეოდ ვგრძნობდი. როდესაც ვინუსი ასე კარგად თამაშობს, ის ყველა მეტოქეს ერთი თავით სჯობს" — ეს სიტყვები ფინალში დამარცხებულ მეგან შონესის ეკუთვნის, თუმცა უილიამსის მეტოქეების გრძნობებს ზოგადადაც ზუსტად გამოხატავს. თიხნარზე ამერიკელის წინააღმდეგ ქულის მოგება ხომ ლამის შეუსრულებელ მისიად იქცეს: ავაზის სისწრაფითა და ჟირაფის ფეხებით შეიარაღებული ვინუსი ნელ საფარზე თითქმის ყველა ბურთს უსწრებს.

„არასოდეს მითქვამს, რომ თიხნარზე თამაში არ მსიამოვნებს, ეს მხოლოდ ჭორია. აქ განსაკუთრებით ის მახარებს, რომ ბევრი ფიქრი არ მჭირდება და უბრალოდ, მთელი ძალით ვურტყამ, ხელს არაფერი მიშლის" — მეტოქეთა გულის გასახეთქად დაუმატა უილიამსმა, რომელიც ჰამბურგში მოპოვებული 90 ათასი დოლარით კარიერის სპრიზოებით 7-მილიონიან ზღვარს გადაცდა.

ავთანდილ სვანიძე

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო

1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო ჰლეხანოვზე

1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური ჰლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე

2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის

ცენტრალური კლინიკა



მისამართი

380109. ვაჟა-ფშაველას 29

ტელეფონები

კანცელარია: 39 23 89

ცნობათა ბიურო: 39 22 89

მიმღები განყოფილება: 39 26 32

საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის ღმერთის ფრთის ქვეშ

ასეთი საფეხბურთო ქორწილი დიახაც რომ იშვიათია. სიძე-პატარძალს იმ ბედნიერ დღეს თავად ფეხბურთის ღმერთი ჰფარავდა, რომ აღარაფერი ვთქვათ გორიჯვრის მადლზე. ქორწილის ადგილი კი გახლდათ სწორედ რომ ქალაქი გორი.

გორულ მამაბაბურ ოჯახში აღზრდილმა „დილას“ ფეხბურთელმა გიორგი რევაზიშვილმა მაიკო მუჯირზე იქორწინა. მაიკო კი გახლავთ ქალიშვილი თბილისის „დინამოს“ ყველაზე განთქმული გუნდის მცველის, დავით მუჯირისა. აქ კი ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პატარძლის ძმა, დათო მუჯირი-უმცროსი ახალთაობის პოპულარული ფეხბურთელია ახლა მოლდოვის „შერიფში“ თამაშობს. და, რა თქმა უნდა, სიძის მეჯვარეც ფეხბურთელია — თბილისის „ლოკომოტივის“ ფორვარდი ალეკო კაიდარაშვილი.

მივულოცოთ და ბედნიერება ვუსურვოთ!

ვერ დაანყნარეს

ნერვებმა დულს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, სადაც საპლეიოფო ჭიდილი დღითიდღე უახლოვდება პიკს. ვერავის დაუკავებია „სან ანტონიო სფურზის“ პატივცემული მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი, რომელსაც სულ ტყუილად აწყნარებს თანაშემწე მაიკ ბადენჰოლცერი. „დალასთან“ შეხვედრაში პოპოვიჩმა ორი ტექნიკური მიიღო და მოედნის კიდე იძულებით დატოვა. ისე კი, „სან ანტონიომ“ 100:96 მოიგო და სერიასაც 2:0 უგებს დალასელებს.



REUTERS სან ანტონიოდან



REUTERS ხერესიდან

მონტოია მოტოციკლეტზე

კოლუმბიელი მეფორმულე ხუან პაბლო მონტოია ხერესის ტრასაზე სტუმრობს და მოტოციკლეტს ეზომება. კარტიდან ფორმულაში წლეულს გადმობარგებულ მონტოიას საუცხოო დებიუტი ჰქონდა ფორმულის გზებზე, თუმცა 125 კუბურსანტიმეტრიანი ძრავის მოტოციკლით განავარდება მაინც არ გაურისკავს.

REUTERS პანოვერიდან

კინალამ მოკლა

დიდი ხულიგნობა დატრიალდა პანოვერის ყინულზე, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს ჰოკეიში. წაგების ბრალი იყო თუ რა, იტალიელმა მარიო კიტაროინიმ სვიტერიც კი შემოიხია და თავგანწირვით დასცხო შვეიცარიელ ჟან-ჟაკ აშლიმანს. იტალიელი ვერაძალით დააკავეს, შვეიცარიელი კი საკაცით გაასრიალეს მოედნიდან. შვეიცარიამ სულ თამაშ-თამაშით, დამამცირებელი ანგარიშით მოუგო იტალიას — 8:1.

REUTERS პანოვერიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვამაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge